საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 131 (933)

სამშაბათი, 26 ივლისი, 1994 წელი.

ფასი 15000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუბრეს საქართველოს მძიმე კონომიკურ ვითარებასა და მისგან ამოსვლის გზებზე

21 ივლისს, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ართაშორისო სავალუტო ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ჯონ ოდლინგ-სმი და ამავე დეპარტამენტის სამხრეთის გიონის უფროსი შადმან ვალავი.

საუბარი შეეხო საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებას და მისგან გამოსვლის გზებს. აღინიშნა, რომ საჭიროა ქვეყანაში განხორციელდეს რადიკალური რეფორმები, ჩატარდეს სტრუქტურული ცვლილებები. სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, ჯერ კიდევ დიდი წილი მოდის სახელმწიფო საწარმოებზე, ამის გამო, კერძო მესაკუთრენი სიძნელეებს აწყდებიან. პირველეს ყოვლისა საჭიროა პრივატიზაციის ჩატარება, ფასების თავისუფლება, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება. ამავე დროს, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საგარეო-ეკონომიკური ვალის დროულად გადახდას.

ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და მათივე კეთილდღეობისათვის საჭიროა რადიკალური რეფორმების განხორციელება.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს რეკომენდაციებისთვის და აღნიშნა, რომ ის სიძნელეები, რასაც ქვეყანა წააწყდა, განპირობებული იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებითაც. ქვეყანა ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროს ძნელი იყო რეფორმებზე ლაპარაკი. ახლა სტაბილურობის ტენდენციები შეიმჩნევა, რაც იმის საწინდარია, რომ საქართველო თავს დააღწევს შექმნილ მდგომარეობას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ხობის, ხონის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებში და ქ. ფოთში საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების შესახებ

1. დასავლეთ საქართველოს ზონაში მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების განმტკიცების მიზნით „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონისა და „საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე, გაგრძელდეს საგანგებო წესების მოქმედება აბაშის, ვანის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ხობის, ხონის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებში და ქ. ფოთში 1994 წლის 23 ივლისიდან ორი თვის ვადით.

2. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დაადასტუროს დასავლეთ საქართველოს ზონაში საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელება.

ე. შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1994 წელი.

სახელმწიფო მინისტრის, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის

ბრძანება

კომენდანტის საათის მოქმედების გაგრძელების შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 23 ივლისის № 235 ბრძანებულების შესაბამისად, გაგრძელდეს კომენდანტის საათის მოქმედება აბაშის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს რაიონებში და ქალაქ ფოთში 1994 წლის 23 ივლისიდან ორი თვის ვადით.

კომენდანტის საათი მოქმედებს 22 საათიდან 06 საათამდე.

სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე
გივი ლომინაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

განცხადება

აფხაზი და ადიღე ხალხების წარმომადგენელთა მეორე მსოფლიო კონგრესის ქალაქ სოხუმში მოწვევასთან დაკავშირებით

ამ დღეებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, ცნობილი გახდა, რომ ქალაქ სოხუმში გაიმართება აფხაზი და ადიღე ხალხების მეორე მსოფლიო კონგრესი.

გასაგებია, რომ თვით კონგრესის გამართვის ფაქტში, ჩვენი აზრით, არაფერი უნდა იყოს საგანგაშო, თუ არა შემდეგი გარემოებანი:

ჯერ ერთი, ვითარება, რომელშიც ეს ხდება, წარმოუდგენლად მძიმე და ტრაგიკულია. 300 ათასზე მეტი ქართველი, რუსი და სხვა ეროვნების ადამიანი, მათ შორის თვით მრავალი აფხაზი, აყრილია საკუთარი კერიდან, ლტოლვილისა და დევნილის როლში იმყოფება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რუსეთის ფედერაციასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში. ათასობით დახოცილის გვამები ჯერ კიდევ ითხოვენ მოძებნასა და წინაპართა წესისამებრ გაპატიოსნებასა და მშობლიური მიწისათვის მიბარებას. დახოცილთა სისხლისა და ხორცის სუნი ტრიალებს მიწაზე, რომელიც ხალხთა საერთო ძალისხმევით მეგობრობისა და ძმობის, ურთიერთობებისა და კეთილი თანაცხოვრების მაგალითი იყო უახლოეს წარსულში.

კონგრესის ბევრი მონაწილე ბოლო წლებში ნამყოფია ამ რეგიონში და ოდნავი ობიექტურობის პირობებში მათთვის უცხო არ იქნება, პირუთვნელად აფასონ დატრიალებული კატასტროფა, რომელმაც დაუნდობლად შთანთქა ჩვენი ხალხების მატერიალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის დიდი ნაწილი.

მეორე. წარმოუდგენელი ფსიქოზი და ცინიზმი დაეუფლა ადამიანებს, რომლებიც გუშინ ნათესავები, მეზობლები, მეგობრები იყვნენ.

საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის (აფხაზეთითურთ) მსოფლიო თანამეგობრობის თითქმის ყველა დონეზე და ყველგან აღიარების მიუხედავად და მათს წინააღმდეგოდ, მაშინ როცა მსოფლიო საზოგადოებრიობა, უწინარესად რუსეთის ფედერაცია, ავლენენ და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს კონფლიქტისა და ომის დასამთავრებლად, ზოგიერთი გულდაუთმელი ხელმძღვანელებისაგან, სამწუხაროდ, კვლავ ისმის ამბიციური, კაცთმოძულე განცხადებები, მუქარა, რომლებიც აგრძელებენ დაძაბულობას, მღელვარებას, კიდევ უფრო აღვივებენ შუღლს, აძლიერებენ დაპირისპირებას ადამიანებში, საზოგადოებაში, ავრცელებენ უნდობასა და სასოწარკვეთილებას.

მესამე. ჩვენ სერიოზულად გვაფიქრებს, რომ კონგრესზე შეიძლება განმეორდეს პრეტენზიული, საქართველოს ინტერესების ხელმყოფი განცხადებები, რომლებითაც ცნობილია პირველი კონგრესის მონაწილეთა გამოსვლები.

სოხუმში II მსოფლიო კონგრესის მოწვევაც დღეს სწორედ ამის დამადასტურებლად მიგვაჩნია.

გამორიცხული არ არის ისიც, რომ კონგრესის მოწვევა გამოყენებულია ბოევიკთა, დაქირავებულთა ახალი ძალების შემოსაყვანად და მათი მონაწილეობით ახალი ანტიქართული აქციების განსახორციელებლად.

ჩვენ პირდაპირ ვსვამდით და ვსვამთ კითხვას: ბოლოს და ბოლოს ხომ არ დადგა დრო, რათა უარვყოთ ყოველივე ის, რაც ამძაფრებს პოლიტიკურ ვითარებას ხალხებსა და ადამიანებს შორის, ძაბავს ურთიერთობას, აგრძელებს წინააღმდეგობებს.

მიგვაჩნია, რომ ყოველივე ეს უპირისპირდება საკაცობრიო ჰუმანურ იდეალებს, კავკასიის ხალხთა რაინდულ სულისკვეთებასა და მის საუკეთესო გამოვლინებებს.

განა ცოტაა სალი, კეთილი, მეგობრული და დასაფასებელი ქართველი და სხვა ხალხების, უწინარესად, თვით კავკასიის ხალხთა წარსულ ურთიერთობებში, რომლებითაც შეიძლება ვიხელმძღვანელოთ და რომელთა გაგრძელება სასურველი და აუცილებელია?

ვცდილობთ, არ ავყვეთ კონფრონტაციას და ჩვენი მუშაობის მთელ მანძილზე, ვიცავდით და ვიცავთ წონასწორობასა და სიმტკიცეს, ვმოქმედებთ ქართველი, აფხაზი და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ყველა ხალხის ურთიერთგაგებისა და ობიექტური ინტერესების გათვალისწინებით, რასაც მხარს უჭერს რუსეთისა და მთელი მსოფლიოს თანამეგობრობა.

გვინდა, რომ ჩვენი ხალხების განვითარების, მათი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის საკითხები კვლავაც განვიხილოთ და გადავწყვიტოთ საერთო ინტერესების და მისწრაფებების შეჯერებითა და გათვალისწინებით ერთიანი სუვერენული საქართველოს ფარგლებში, რა თქმა უნდა, გონიერების და მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ჩარჩოებში.

სხვა სურვილი, სხვა მიზანი ყველასთვის საზიანოა და მიუღწეველი, განწირულია, მათ გამარჯვება არ უწერიათ.

ქ. თბილისი, 28 ივლისი, 1994 წელი.

„გაერო კვლავ ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი"

— ვიცით, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 937-ე რეზოლუცია. რას შეცვლის იგი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხში და რა მნიშვნელობა ექნება ამ დოკუმენტს რუსეთისათვის? გვახსოვს, იყო ეჭვები, რომ რუსეთის ჩარევის შემთხვევაში გაერო შეიძლებოდა განზე გამდგარიყო საკითხის მოგვარებიდან... ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვით დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული რადიოინტერვიუ.

— უშიშროების საბჭოს ეს ბოლო რეზოლუცია ძალიან მნიშვნელოვანია, უწინარესად, იმ თვალსაზრისით, რომ დამთავრდა სამშვიდობო ღონისძიებათა, სამხედრო და პოლიტიკური ასპექტების პირველი ეტაპი. მას დამთავრებულად ვერ ჩავთვლიდით, სანამ გაირკვეოდა უშიშროების საბჭოს პოზიცია იმ აქციების ღონისძიებების მიმართ, რომლებიც დაისახა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურების შეხვედრაზე. როცა ვლაპარაკობ პირველ ეტაპზე, მხედველობაში მაქვს მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იყო, რათა დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნება, დაიწყოს სერიოზული დიალოგი აფხაზეთის სტატუსთან და მთლიანად მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

თავს ნებას მივცემ, მოვახდინო ამ რეზოლუციის ზოგიერთი დებულების ციტირება, რადგან მიმაჩნია, რომ ამას პრინციპული მნიშვნელობა ექნება კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებაში. ეს დოკუმენტი, რა თქმა უნდა, გამოქვეყნდება პრესაში, მაგრამ შეიძლება ყველა რადიომსმენელამდე გაზეთი არც მიდის და ამიტომ ზოგიერთ დებულებას მაინც მივაპყრობ მათ ყურადღებას.

მნიშვნელოვანია ის, რომ 937-ე, რიგით მეათე რეზოლუციაში, რომელსაც უშიშროების საბჭო იღებს საქართველოსთან დაკავშირებით, გაერო **კვლავ ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, კონფლიქტით დაზარალებული ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულის უფლებას — საერთაშორისო სამართლისა და მოსკოვში ხელმოწერილ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე უსაფრთხოების პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს.**

უშიშროების საბჭო მიესალმება 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ.

შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანია დებულება: **ითვალისწინებს რა კონფლიქტის ყოვლისმომცველ მოწესრიგებას გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის თანადგომითა და ევროთათბირის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარე მოლაპარაკებებზე კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში პროგრესის გადამწყვეტ მნიშვნელობას, რაც უნდა ითვალისწინებდეს აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს, ადრე მიღებულ რეზოლუციებზე დამყარებულ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის სრულ პატივისცემას.**

მე ვუბრუნდები პირველ ფრაზას: **ითვალისწინებს რა კონფლიქტის ყოვლისმომცველ მოწესრიგებას გაეროს ეგიდით.** მნიშვნელოვანია ისიც, რომ უმაღლესი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პლანეტაზე უსაფრთხოებაზე აგებს პასუხს, კვლავ და კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს განუყოფლობას და, ბუნებრივია, აფხაზეთის სტატუსს ერთიანი საქართველოს ფარგლებში. კვლავ ხაზგასმით **აღნიშნავს, რომ აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტის ზონაში ძალადობის ნებისმიერი სახით განახლება.** შემდეგ არის სხვა დებულებებიც, რომლებიც შეიძლება, იმდენად მნიშვნელოვანი არც იყოს.

კმაყოფილებით აღნიშნავს რუსეთის ფედერაციის მზადყოფნას განაგრძოს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების ინფორმირება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მოქმედების შესახებ.

ესე იგი, ეს კონტაქტები უკვე დამყარდა, პრაქტიკა ჩამოყალიბდა, ეს აბსოლუტურად უნიკალური პრაქტიკაა, ჯერ ასეთი კომპლექსური მიდგომა საკითხისადმი არ ყოფილა.

მიესალმება უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინაციას გენერალურ მდივანსა და ევროთათბირის ამჟამინდელ თავმჯდომარეს შორის, განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკაში ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ მიმართული ძალისხმევის საქმეში. ესე იგი ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული არა მარტო გაერო, არამედ ევროთათბირიც.

იწონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ძალისხმევას მიმართულს აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნებისაკენ და მათს მცდელობას მოსკოვის 14 მაისის შეთანხმებისა და ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახურთან ფართო თანამშრომლობით უზრუნველყონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა თავიანთ სახლებში დაბრუნება.

მიესალმება რუსეთის ფედერაციის წვლილს სამშვიდობო ძალებში. ეს ძალიან პრინციპულია. ვიცი, რომ იყო პირველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც **გაეროს და უშიშროების საბჭო ცნობად იღებდნენ...** ეს სულ სხვა ამბავი იქნებოდა. რადგან მიესალმება, რადგან აღიარებს, რადგან ცნობს, ეს უკვე, პრაქტიკულად, მის მონაწილეობას ნიშნავს, **მიესალმება რუსეთის ფედერაციის წვლილს სამშვიდობო ძალებში,** რაც უპასუხებს მხარეთა თხოვნას, გამოთქმულს 14 მაისის შეთანხმებაში, რომელიც ამ ძალებს შეაქვთ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან ერთად გენერალური მდივნის 1994 წლის 12 ივლისის მოხსენებისა და გაეროს პრინციპებისა და პრაქტიკის შესაბამისად; ასევე **მიესალმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მიერ გამოთქმულ სურვილს შემდგომში მონაწილეობა მიიღონ ამ ძალებში, უფლებამოსილებას აძლევს გენერალურ მდივანს გაზარდოს საქართველოში მეთვალყურეთა მისიის შემადგენლობა მოთხოვნის თანხმად.** ზუსტად ასეთი იყო ჩვენი მოთხოვნა — 136 სამხედრო მეთვალყურე შესაბამისი დამხმარე სამოქალაქო აპარატით. ეს დაახლოებით 250-300 კაცი იქნება თავისი ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საშუალებებითა და ა. შ.

როცა ლაპარაკია მეთვალყურეთა მანდატზე, არის ერთი ძალიან საყურადღებო დებულება: **მჭიდრო კონტაქტი კონფლიქტში მონაწილე მხარეებთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობა, რათა ამ რაიონში თავისი ყოფნით ხელი შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხოების პირობებში თავიანთ სახლებში გეგმაზომიერად დაბრუნებას.** ესე იგი, მას არა მარტო სხვა საკონტროლო ფუნქციები აქვს, არამედ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა სწორედ ლტოლვილთა დაბრუნების ამოცანა გახლავთ.

თხოვნით მიმართავს გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახურს სრული თანადგომა აღმოუჩინოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების განხორციელებაში, — ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ლტოლვილთა კომისარიატი, ლტოლვილთა კომისრის სამსახურის მონაწილეობა დაკავშირებულია უშუალოდ ლტოლვილების თუნდაც ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმესთან.

თხოვნით მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს დააარსოს შეწირულობათა ნებაყოფლობითი ფონდი მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების განხორციელების მხარდასაჭერად ან ჰუმანიტარული ასპექტების მხარდასაჭერად. ეს მუშაობა პრაქტიკულად უკვე დაწყებულია და როგორც კი დაიწყება ლტოლვილების დაბრუნება, ვფიქრობ, რომ ჩვენი მოქალაქეები ამ დახმარებას რეალურად იგრძნობენ.

როგორც მოგახსენეთ, პირველი ეტაპი ამით დამთავრდა, გაკეთდა ყოველივე აუცილებელი, რაც უნდა გაკეთებულიყო. და ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ღონისძიებები განხორციელდება პრაქტიკულად, რათა დაიწყოს დაბრუნების პროცესი. ვფიქრობ, იგი უნდა დაიწყოს უახლოეს დღეებში.

ამ დოკუმენტის ყველა დებულებას წითელ ზოლად გასდევს ის, რომ გაერო სამშვიდობო პროცესის მონაწილეა, ის, რომ მისი მეთვალყურეთა მანდატი გაფართოვდა და ამას მიესალმნენ რუსეთის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლები, რასაც აგრეთვე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმაზე კი არ არის ლაპარაკი, რომ რაღაც დაპირისპირება იყოს, არამედ ლაპარაკია ძალისხმევის გაერთიანებაზე რუსეთის, თანამეგობრობის ქვეყნების, გაეროს უშიშროების საბჭოს მეთვალყურეების სახით და ამავე დროს გასათვალისწინებელია ლტოლვილთა კომისარიატის მონაწილეობა. ყველაფერი ეს ძალიან შთამბეჭდავია. ვიმეორებ, ახლა ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგმება. რა თქმა უნდა, ამიერიდან ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული. მე უკვე არაერთხელ ვთქვი, რომ ჩვენ ვენდეთ რუსეთს, მის ხელმძღვანელობას, სამხედროებსა და დიპლომატებს და მინდა მჯეროდეს, რომ ჩვენ არ შევცდარვართ და არ შეცდებიან ჩვენი ლტოლვილები.



ედუარდ შევარდნაძის 25 ივლისის რადიოინტერვიუ

— გასული კვირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: თბილისში მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით მოეწყო საქართველო-რუსეთის ერთობლივი კონფერენცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინვესტიციების საკითხზე. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი ყოველთვის მოითხოვდა ჩვენგან ურთიერთობის მოგვარებას რუსეთთან და, ალბათ, ეს პროცესიც დაიწყო... რუს ბიზნესმენებსა და მეწარმეებს, ისევე როგორც უცხოელებს, საქართველოსთან კონტაქტების დამყარების სურვილი გაუჩნდათ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების პროცესი დაიწყო...

— მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. რუსეთის ბიზნესმენები საქართველოში — ეს პირველად მოხდა იმ ცნობილი გართულებებისა და სიძნელეების შემდეგ. ჩვენი დასავლელი კოლეგების წერილებში, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის და სხვების წერილებში, გამოთქმული იყო სურვილი, რაც შეიძლება მალე მოგვეგვარებინა ურთიერთობა რუსეთთან. ამის კარნახიც არ იყო საჭირო, ჩვენ თვითონ დავრწმუნდით, რომ უამისოდ ძნელია გამოიყვანო ქვეყანა ეკონომიკური და სხვა სახის კრიზისიდან.

მოქალაქეთა კავშირისა და საქართველოს ბიზნესმენების ინიციატივა მართლაც შესანიშნავია. დღეს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს სხდომაზე, რომელშიც, ვფიქრობ, მიიღო მონაწილეობა, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად შეჯამდება ამ ღონისძიების პირველი შედეგები. ეს ძალიან შთამბეჭდავია. ლაპარაკია არა ზოგად სურვილებზე, თანამშრომლობის სარგებლიანობაზე და ა. შ. ერთმანეთს შეხვდნენ ნაცადი პარტნიორები, რომელთაც არცკი სჭირდებათ დარწმუნება ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებლობაში, თვად იციან ეს თავიანთი ცხოვრებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. ამიტომაც გამოიკვეთა ათობით კონტრაქტი ან ოქმები განზრახულობათა შესახებ, რომლებიც შემდგომში უნდა გაფორმდეს როგორც ხელშეკრულებები. შედეგები, ვფიქრობ, ხელშესახები იქნება უკვე მიმდინარე წლისათვის, თუ მთლიანად ქვეყნისათვის არა, მრავალი ათეული საწარმოსა და ორგანიზაციისათვის მაინც. რა თქმა უნდა, ამ მოძრაობას ვერ დავიწყებდით იმ წინაპირობის გარეშე, როგორიც არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა, რუსეთთან ხელშეკრულებათა მთელი პაკეტის ხელმოწერა, აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების არჩევა. ეს აუცილებელი წინაპირობა იყო იმისათვის, რომ ჩვენ რუსეთთან დაგვეწყო სერიოზული თანამშრომლობა. არა მარტო მთავრობასთან, და, შეიძლება ითქვას, არა იმდენად მთავრობასთან, არამედ მთავრობის ხელშეწყობით ბიზნესმენებთან, ორგანიზაციებთან, რეგიონებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, გაერთიანებებთან და ა. შ. ეკონომიკა მომავალში საფუძველი გახდება ნამდვილი მეგობრობისა და ნამდვილი მეზობლობისა, თანასწორუფლებიანობისა. ბიზნესმა იცის თავისი საქმე, მას თავისი კანონები აქვს და ეს კანონები ორივე მხარის სასიკეთოდ იმუშავებს. ამაში დარწმუნებული ვარ.

იმ სტაბილიზაციის პირველი ეტაპის გარეშე, რომელზეც ახლა ვსაუბრობდით, ლაპარაკი ზედმეტი იყო ასეთი ღონისძიების გამართვაზე. რუსეთში უკვე მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის კანონები. ამ კანონების მიხედვით, სადაც ომია და სისხლი იღვრება, ბიზნესზე ლაპარაკი ძნელია. ბიზნესის კანონები, გარკვეულწილად პოლიტიკური ცხოვრების წესებსაც განაპირობებს და აქედან გამომდინარე ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება.

— გუშინ თქვენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაციას შეხვდით, გაიმართა ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი...

— საუბარი ძალზედაც მნიშვნელოვანი იყო, მთავარი დასკვნა ასეთია: ეს უძლიერესი საერთაშორისო ფინანსური ცენტრებია, რომელთა რეკომენდაციებს ითვალისწინებენ დონორი ქვეყნებიც — უზარმაზარი, თანამედროვეობის გიგანტი სამრეწველო ცენტრები. ჩვენ თავისთავად უნდა გავითვალისწინოთ და ვიხელმძღვანელოთ მათი რეკომენდაციებით. უდავოდ დაგვეხმარებიან და ეს დახმარება დაიწყება უკვე მიმდინარე წელს. მაგრამ, დაგვეხმარებიან იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ თვითონ შევამზადებთ ნიადაგს ამისათვის. ჩვენთან ასეთი პროცესი დაიწყო. გუშინ მე მათ განვუმარტე, რისი გაკეთება შეიძლებოდა სამოქალაქო ომის პირობებში, ამ ომის გათვალისწინებით და რისი გაკეთება არ შეიძლებოდა, რამ მიიყვანა ქვეყანა ასეთ ვითარებამდე. ახლა მთავარია ჩვენი საფინანსო-საკრედიტო მეურნეობის მოწესრიგება, პრივატიზაციის დაჩქარება, მესაკუთრეთა ფენის ორგანიზაცია, ამ ფენის ფორმირება.

ალბათ, მიაქციეთ ყურადღება ჩვენს ღონისძიებებს შემნახველ ბანკთან, სამომხმარებლო კოოპერაციასთან დაკავშირებით და მრავალი სხვა. როცა პრივატიზაციის დაჩქარებაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს იმ პროგრამის მიხედვით მოქმედება, რომელიც ჩემს ბრძანებულებაშია ჩამოყალიბებული. ჩემი შეხედულებები ქვეყნის ეკონომიკისა და საფინანსო-საკრედიტო მეურნეობის გაჯანსაღებაზე, მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, შევეცადე ჩამომეყალიბებინა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ საკმაოდ ვრცელ ინტერვიუში. კარგი იქნებოდა თუ ჩვენი საზოგადოებრიობა ყურადღებას მიაქცევდა იმ გამოთქმულ მოსაზრებებს. როგორც ვიცი, ჩვენი უცხოელი პარტნიორები — იგივე მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის წარმომადგენლები, ამ მასალის ძირითად დებულებებს იზიარებენ. ასე რომ, ვაშინგტონისა და პარიზის დიალოგებიდან დაწყებული ნათლად გამოიკვეთა ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩვენი თანამშრომლობის პრინციპები. ეს დიალოგები გრძელდება თბილისში და მასში მონაწილეობს ჩვენი კოლეგების საკმაოდ ფართო წრე.

— საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავდაცვის მინისტრის გენერალ ვარდიკო ნადიბაიძის ვიზიტმა მოსკოვში. ითქვა, რომ ხელისუფლებამ რუსეთს უსასყიდლოდ გადასცა მის ხელთ არსებული ერთადერთი ბოლო კოზირი — სამხედრო ბაზები...

—გუშინ ორჯერ გაიმართა სატელევიზიო ინტერვიუ თავდაცვის მინისტრთან გენერალ ნადიბაიძესთან. მისი პასუხები ამომწურავად მიმაჩნია და გამეორება საჭირო არ არის. კიდევ და კიდევ მივმართავ ჩემს კოლეგებს, პარტნიორებს, ოპონენტებს, ვიდრე რაიმე კატეგორიულ აზრს გამოთქვამდნენ ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხზე, როგორიც არის სამხედრო ბაზების საკითხი, ღმერთი არ უწყრონ, დარეკონ თავდაცვის სამინისტროში ან აპარატში და დააზუსტონ როგორ არის საქმე.

— გასულ კვირას კვლავ გაიმართა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგი, სადაც აღარ ისმის რუსეთის ლანძღვა, და სადაც, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ანთროპოლოგიურ გამოკვლევებს ატარებს... თქვენი თავის ქალის შესახებ...

— მივესალმები, რომ რუსეთს აღარ ლანძღავენ, ესე იგი, საქმე მაინც უკეთესობისაკენ მიდის. გაითვალისწინეს ჩემი ბევრი თხოვნა და მათი მადლობელი ვარ.

რაც შეეხება ამ გამოკვლევას. ღმერთმა იცის, რომ არასოდეს განმიცხადებია პრეტენზია ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი, როგორც იტყვიან „კოკროჭინა თავისა და ტანწერწეტობის გამო", როგორითაც ალბათ ბატონი ირაკლი წერეთელია გამორჩეული, განგება ხანდახან ყველა სიკეთეს ერთ კაცს დააბერტყავს ხოლმე და სხვა კი იჩაგრება. ამ დაჩაგრულთა შორის მეც გახლავართ...

— ხვალ თბილისში ჩამოდის რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია. რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის მათი ვიზიტი?

— რუსეთის ფედერაციის საბჭოს ეს დელეგაცია ძალიან ავტორიტეტულია. მასში შედიან კომიტეტის თავმჯდომარეები, დეპუტატები, მათი მრჩევლები. ჩვენ ამ ფაქტს ძალიან სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ფედერაციის საბჭომ საკმაოდ ერთსულოვნად გამოხატა აფხაზეთში სამშვიდობო მისიის მხარდაჭერა და ამის გამო უკვე გამოვთქვი ჩემი მადლიერება. ახლა ლაპარაკი უნდა იყოს პრაქტიკულ საქმეებზე. დარწმუნებული ვარ, რომ დელეგაციის წევრები გულთან მიიტანენ ლტოლვილთა და დევნილთა ტკივილებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე სამართლიანობის აღდგენაში, ლტოლვილთა და დევნილთა უფლებების აღდგენაში. მინდა, რომ ეს მჯეროდეს. მათთან მექნება შეხვედრა და ამაზე ვისაუბრებთ.

მერვე სვეტი

ლტოლვილთა აქცია გრძელდება

მეხუთე დღეა სოფელ რუხში, ენგურის ხიდთან, მიმდინარეობს აფხაზეთიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა აქცია. მონაწილენი სამართლიანად მოითხოვენ რუსეთის პარლამენტარებთან შეხვედრას, რადგანაც დღეს კონფლიქტის ზონაში განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებზეა მთლიანად დამოკიდებული მათი საკუთარ კერაზე დაბრუნება.

ამ დღეებში რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია შეხვდა სოფელ რუხში მიმდინარე აქციის მონაწილეებს და აღუთქვა, რომ 27 ივლისს მათთან ჩამოვა რუსეთის პარლამენტართა ჯგუფი, რომლის წინაშეც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მთელი პრინციპულობით დააყენებს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაჩქარების საკითხს.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საკ. კორ.

„იბერიის" ლენტიდან

აფხაზეთის სვანეთი. უახლოეს დღეებში კოდორის ხეობაში დაგეგმილია გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა საპატიო ჯგუფის შეყვანა, რომელიც კონტროლს გაუწევს ცეცხლის შეწყვეტას.

სოხუმი. სოხუმში გაიხსნა აფხაზ-აბაზინთა მსოფლიო კონგრესი. კონგრესზე გამოსვლისას, აფხაზთა მხარის ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ აფხაზეთსა და საქართველოს შორის შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ხელშეკრულების დადება, როგორც ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის.

სოხუმი. აფხაზეთის რეგიონის ტერიტორიაზე რეგულარულად იმართება ოთხმხრივი სამხედრო კომისიის სხდომები, რომელთა მუშაობაშიც მონაწილეობენ: გაეროს მხრიდან — პოლკოვნიკი ფორგაჩი, რუსეთის მხრიდან — რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი იაკუშევი და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით შექმნილი უსაფრთხოების ორივე ზონის კომენდანტები — პოლკოვნიკი ზარუბეცკი, პოლკოვნიკი დრობინი; საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან — თავდაცვის მინისტრის მოადგილე გურამ ნიკოლაიშვილი; აფხაზთა მხრიდან — ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი მერაბ ქიშმარია.

საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაემგზავრა

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, ექიმთა დაჟინებული თხოვნით, საზღვარგარეთ გაემგზავრა ხანმოკლე სამედიცინო პროფილაქტიკური კურსის ჩასატარებლად. მას ახლავს აჭარის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი გივი ცივაძე.

როგორც მიუნხენიდან იტყობინებიან, მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა. რამდენიმე დღეში ბატონი ასლან აბაშიძე შინ დაბრუნდება და განაგრძობს საქმიანობას.

თამაზ ბენძეხაძე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს

რეზოლუცია 937

უშიშროების საბჭო,

ადასტურებს რა თავის 1993 წ. 9 ივლისის 849, 6 აგვისტოს 854, 24 აგვისტოს 858, 19 ოქტომბრის 876, 4 ნოემბრის 881, 22 დეკემბრის 892, 1993 წლის 31 იანვრის 896, 25 მარტის 906, 30 ივნისის 934, რეზოლუციებს,

ეყრდნობა რა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1994 წ. 16 ივნისის წერილს (1994 714) გენერალური მდივნისადმი,

განიხილა რა გენერალური მდივნის 1994 წ. 12 ივლისის მოხსენება (1994 818 და დამ. 1),

კვლავ ადასტურებს რა თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და კონფლიქტით დაზარალებული ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულის უფლებას საერთაშორისო სამართლისა და მოსკოვში 1994 წ. 4 აპრილს ხელმოწერილი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების (1994 397, დამ. 2) საფუძველზე უსაფრთხოების პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს,

მიესალმება რა 1994 წ. 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებას (1994 583) ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ,

აღიარებს რა, რომ აუცილებელია მოსკოვის 1994 წ. 14 მაისის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ განცხადების (1994 397, დამ. 1) და მოსკოვის 1994 წ. 4 აპრილის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების (1994 397) თანამიმდევრული და სრული დაცვა,

ითვალისწინებს რა, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მნიშვნელობას გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის თანადგომით და ევროთათბირის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარე მოლაპარაკებებზე კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში, ასევე პროგრესის გადამწყვეტ მნიშვნელობას, რაც უნდა ითვალისწინებდეს აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს, ადრე მიღებულ რეზოლუციებზე დამყარებულ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრულ პატივისცემას,

ასევე ხაზს უსვამს რა, რომ ამგვარი პროგრესი უფლებას მისცემს საბჭოს ხელახლა განიხილოს აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) სამშვიდობო ძალების განლაგების საკითხი, როგორც ეს შემოთავაზებულია გენერალური მდივნისადმი საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრების წერილში (26478),

(დასასრული მე-2 გვ.)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს

რეზოლუცია 937

(დასასრული)

კვლავ ხაზს უსვამს რა, რომ აუცილებელია კონფლიქტის ზონაში ძალადობის ნებისმიერი სახით განახლების თავიდან აცილება,

ღრმად არის რა შეშფოთებული ჰუმანიტარული სიტუაციისა და იმ საფრთხის გამო, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას რეგიონში, თუკი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დიდ რაოდენობას არ ექნება შესაძლებლობა დაუბრუნდეს საკუთარ სახლებს უსაფრთხოების პირობებში,

ცნობად იღებს რა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის 1994 წ. 16 მაისის და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 1994 წ. 15 მაისის მიმართვებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოსადმი და ცნობს რა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების განლაგება განპირობებულია კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თხოვნითა და თანხმობით,

ცნობად იღებს რა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ 1994 წ. 21 ივნისს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში გაკეთებულ განცხადებას (1994 732, დამ.), რომელიც ეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატს და მის ხანგრძლივობას,

კმაყოფილებით აღნიშნავს რა რუსეთის ფედერაციის მზადყოფნას განაგრძოს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების ინფორმირება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მოქმედებების შესახებ.

მიესალმება რა უფრო მჭიდრო თანამშრომლობასა და კოორდინაციას გენერალურ მდივანსა და ევროთათბირის ამჟამინდელ თავმჯდომარეს შორის, განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკაში ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის გამიზნული ძალისხმევის საქმეში,

ეხება რა ევროთათბირის წევრი ქვეყნების ჰელსინკის 1992 წ. უმაღლესი დონის შეხვედრისა და ევროთათბირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების რომის 1993 წ. 30 ნოემბრის — 1 დეკემბრის შეხვედრის დოკუმენტების უმნიშვნელოვანეს დებულებებს, მათ შორის იმ დოკუმენტებს, რომლებიც ეხება ევროთათბირის სფეროში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებს,

ცნობად იღებს რა მხარეთა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლების მიერ მიცემულ გარანტიებს, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას ექნება თავისუფლად გადაადგილების საშუალება, რათა შეძლოს თავისი მანდატის განხორციელება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონაში, ისე საქართველოს რესპუბლიკის იმ ტერიტორიებზე, სადაც ამის საჭიროება იქნება.

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1994 წ. 12 ივლისის მოხსენებას (1994 818);

2. მოუწოდებს მხარეებს გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა, რათა მიღწეული იქნეს დროული და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგება გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის თანადგომით და ევროთათბირის წარმომადგენელთა მონაწილეობით, და მიესალმება მხარეების სურვილს, რომ გაერომ განაგრძოს აქტიური მონაწილეობა პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში;

3. იწონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ძალისხმევას, გამიზნულს აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნებისთვის და მათ მცდელობას მოსკოვის 1994 წ. 14 მაისის შეთანხმებისა და ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახურთან ფართო თანამშრომლობით უზრუნველყონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა თავიანთ სახლებში დაბრუნება.

4. მიესალმება რუსეთის ფედერაციის წვლილს სამშვიდობო ძალებში, რაც უპასუხებს მხარეთა თხოვნას, გამოთქმულს 14 მაისის შეთანხმებაში, რომელიც ამ ძალებს შეაქვთ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან ერთად გენერალური მდივნის 1994 წ. 12 ივლისის მოხსენებისა და გაეროს პრინციპებისა და პრაქტიკის შესაბამისად. ასევე მიესალმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მიერ გამოთქმულ სურვილს, შემდგომში მონაწილეობა მიიღონ ამ ძალებში.

5. უფლებამოსილებას აძლევს გენერალურ მდივანს გაზარდოს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის შემადგენლობა მოთხოვნის თანახმად მაქსიმალურად 136 სამხედრო მეთვალყურემდე შესაბამისი დამხმარე სამოქალაქო აპარატით;

6. ასევე იღებს გადაწყვეტილებას, რათა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა გაზრდილი მისიის მანდატი გენერალური მდივნის მოხსენებაში მოყვანილი რეკომენდაციების თანახმად ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წ. 14 მაისის შეთანხმების შესრულების თვალყურის დევნება და დადასტურება,

ბ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების ოპერაციის აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში თვალყურის დევნება,

გ) თვალყურის დევნებითა და პატრულირებით იმის დადასტურება, რომ ჯარები არ რჩებიან, ან კვლავ არ შედიან უსაფრთხოების ზონაში და რომ მძიმე ტექნიკა არ რჩება ან კვლავ არ შედის უსაფრთხოების ან შეიარაღების აკრძალვის ზონაში,

დ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობით თვალყურის დევნება იმ ადგილებში, სადაც ინახება უსაფრთხოების და შეიარაღების აკრძალვის ზონებიდან გამოტანილი მძიმე სამხედრო ტექნიკა.

ე) საქართველოს რესპუბლიკის ჯარების კოდორის ხეობიდან აფხაზეთის (საქართველოს რესპუბლიკა) ფარგლებს გარეთ გაყვანის თვალყურის დევნება,

ვ) კოდორის ხეობის რეგულარული პატრულირება,

ზ) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების რომელიმე მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით შეთანხმების დარღვევის იმ შემთხვევების შესწავლა, რომლების შესახებაც არის ინფორმაცია, ან ეჭვი და ყოველგვარი მცდელობა, რათა ამგვარი ინციდენტები არ მოხდეს,

თ) საკუთარი მანდატის შესაბამისად რეგულარული მოხსენებების გაგზავნა გენერალური მდივნის სახელზე, განსაკუთრებით კი შეთანხმების განხორციელების, ყოველგვარი დარღვევებისა და საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მიერ განხორციელებული გამოძიებების შესახებ, აგრეთვე, სხვა შესაბამისი მოქმედებების შესახებ,

ი) მჭიდრო კონტაქტი კონფლიქტში მონაწილე მხარეებთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობა, რათა ამ რაიონში თავისი ყოფნით ხელი შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა საკუთარ სახლებში უსაფრთხოების პირობებში გეგმაზომიერად დაბრუნებას.

7. ცნობად იღებს გენერალური მდივნის განზრახვას გაუგზავნოს მიმართვები თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარეს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ და თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს მიიღოს შესაბამისი ზომები ამ როლისა და პასუხისმგებლობის განსახორციელებლად, ასევე თხოვნით მიმართავს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების სარდლობებს განახორციელონ ადგილზე შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნულია გენერალური მდივნის 1994 წ. 12 ივლისის მოხსენებაში (1994 818), რათა დამყარდეს კავშირი და კოორდინაცია საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს შორის და მათ შეძლონ შესაბამისი ფუნქციების განხორციელება.

8. მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს გააძლიერონ თავიანთი სრული მხარდაჭერა, რათა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას ჰქონდეს თავისუფლად გადაადგილების საშუალება. რათა შეძლოს თავისი მანდატის განხორციელება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონაში, ისე საქართველოს რესპუბლიკის იმ ტერიტორიებზე. სადაც ამის საჭიროება იქნება, რათა განახორციელოს თავის მანდატი. ამავე დროს, თხოულობს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზთა ხელმძღვანელობამ არ დააყოვნონ თანხმობის მიცემა მისიის სტატუსზე;

9. კვლავ ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულის უფლებას საერთაშორისო სამართლისა და ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე უსაფრთხოების პირობებში დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს, მოუწოდებს მხარეებს პატივი სცენ ამ საკითხებში მათ მიერ წინათ ნაკისრ ვალდებულებებს და დააჩქარონ ეს პროცესი, რამდენადაც შესაძლებელია, და თხოვნით მიმართავს გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახურს სრული თანადგომა აღმოუჩინოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების განხორციელებაში;

10. თხოვნით მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს დააარსოს შემოწირულობების ნებაყოფლობითი ფონდი მოსკოვის 1994 წ. 14 მაისის შეთანხმების განხორციელების მხარდასაჭერად და ან ჰუმანიტარული ასპექტების მხარდასაჭერად.

11. გადაწყვეტილებას იღებს, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატი გაგრძელდეს 1995 წ. 13 იანვრამდე;

12. თხოვნით მიმართავს გენერალურ მდივანს სამი თვის განმავლობაში მოახსენოს საბჭოს, თუ როგორია მდგომარეობა აფხაზეთში (საქართველოს რესპუბლიკა) ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ, აგრეთვე ზემოთაღნიშნული შეთანხმების ყველა ასპექტის შესახებ;

13. გადაწყვეტილებას იღებს აქტიურად დარჩეს ჩართული ამ საქმეში.

ხმა ერის გასაგონად!

შოთა კვირაია

სრულიად არასაიდუმლოდ

დღეს მთელი რესპუბლიკა დიდი იმედით ისმენს იმ ფართომასშტაბიანი ოპერაციების გამოძახილს, შინაგან საქმეთა სამინისტრო რომ ახორციელებს. ელვისებური და გულდაგულ გათვლილი ყველა წვრილმანი, და, რაც მთავარია. მაღალი პროფესიონალიზმი — ბოლო წლებში ასე რომ აკლდა ჩვენს პოლიციას. კორუფციამ, მაფიამ, მომხვეჭელობამ კატასტროფის ზღურბლთან მიიყვანა ერი. ყველაფერს ომს ვერ დააბრალებ. ომის დროს ქართველი კაცი უფრო მომთმენი, მიმტევებელი და თანამდგომი ხდებოდა. ის, რაც დღეს ფართომასშტაბიანი ოპერაციების შედეგად წარმოჩნდა, სახელს ვერ მოუძებნი — ეს იმ უდიდესი ბოროტების წარმონაქმნია, ათეული წლების მანძილზე რომ ღვივდებოდა ჩვენში. რა მოხდა, რამ გაამძვინვარა ასე ჩვენი ხალხი? ან როგორ ვიტევდით ამდენ ჭუჭყს, ერთმანეთის გაუტანლობას, ძმათაკვლას, ძარცვას, ადამიანის გატაცებას. ალბათ, რაღაც ბიძგი იყო საჭირო, რომ ერთბაშად წარმოჩენილიყო ეს ყოველივე.

ადამიანი დაუცველი დარჩა.

აღზევდა მაფია.

ერთბაშად განიძარცვა საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები სულიერი საგანძური. დამნაშავე სამყარო ამაყად აფრიალებს უცხო, ამაზრზენ დროშებს... შიშით გაიმსჭვალა თითოეული ჩვენგანის გული. ვინ უნდა გაფანტოს ეს ჯანღი? ვინ უნდა გაამრთელოს სულის ჭრილობა, ასე თანდათან რომ ღრმავდება?

ნიშანდობლივია ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფრთიანი გამოთქმა: საქართველოს სახელმწიფო მშენებლობა აქედან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან უნდა დაიწყოს. ეს იყო ამ რამდენიმე ხნის წინათ. სამინისტროს სათავეში ჩაუდგა გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია. ამ ახალგაზრდა კაცმა მოკლე დროში სიმამაცის, გამჭრიახობისა და საქმის ღრმა ცოდნის არაერთი შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა. ხვირის საძმო, ქვემო ქართლი, მუხრანი... რესპუბლიკის პოლიცია მისი თავკაცობით სულ უფრო მკვიდრად დგება ფეხზე. წარმოჩნდნენ ახალი კადრები. ეს ბუნებრივია. თვით სამინისტროს შემადგენლობაში ბევრი რამ გადასახედი და ჩამოსაცილებელი გახდა. დიდი შედეგებით გასრულდა ამ რამდენიმე დღის წინათ კახეთის რეგიონში ჩატარებული ოპერაცია. როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა. რესპუბლიკის მოსახლეობამ იმედის თვალით გახედა პოლიციას. გვწამს, იგი დიდ გამწმენდ სინათლედ გადაეფარება მთელს საქართველოს.

გენერალი შოთა კვირაია საოცრად სიტყვაძუნწი გახლავთ, როგორც თავის გამოსვლებში, ასევე ინტერვიუს მიცემის დროსაც... ეს მისი თავმდაბალი ბუნებიდან გამომდინარეობს. „ჩემი პროფესიის ადამიანმა მეტი უნდა ისმინოს, საქმე აკეთოს, და ნაკლები ილაპარაკოს..." ეს ბატონ შოთას სიტყვებია. ამის მიუხედავად, მან უარი ვერ გვითხრა გაზეთში გამოსვლაზე. თუმცა, ამ გამოსვლასაც თავშეკავებულობისა და თავმდაბლობის იერი დაჰკრავს.

ახლა, ამ წუთს, რატომღაც სოხუმი მახსენდება... თუმცა, ვინც იმ საშინელ დღეებში ერთხელ მაინც იყო სოხუმში, არასოდეს დაავიწყდება მისი ცეცხლმოდებული სახლები, გამუდმებული ბომბვა და ადამიანთა ტრაგედია. აგერ ზუსტი თარიღიც: მაშინ სახელმწიფოს მეთაურის დაცვა მებარა. სხვა სამსახურებთან ერთად ოცი სექტემბერს ჩვენმა დაზვერვამ დააფიქსირა ე. წ. „ალფასა" და „ოდიშის" რადიოსაუბარი. ეს იყო კავშირი გუდაუთასა და ზუგდიდს შორის. მე ხელთა მაქვს ამ „საუბრის" სრული ტექსტი. რა არის აქ ყურადსაღები? გუდაუთის მხარე შეპირდა „ოდიშს", — 27 სექტემბრისათვის სამთავრობო ჯარებს ალყაში მოაქცევდა გულრიფშის რაიონში და მის განადგურებას დაიწყებდა. ამ ლიკვიდაციის დროს სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლეს წერტილი უნდა დასმოდა. მოხსენდა ეს ბატონ ედუარდს. შევთავაზეთ დაცვის გაზრდა, რაზეც მან მტკიცე უარი განაცხადა. მაგრამ მე ჩემს ცხოვრებაში პირველად დავარღვიე ბრძანება. ოცდასამში მაინც გავგზავნე დაცვა. ეს იყო ტუ-134 მარკის თვითმფრინავი. როგორც იცით, ეს თვითმფრინავი აფხაზებმა ჩამოაგდეს. დაიღუპნენ ჩვენი საუკეთესო ბიჭები, ცოცხლად დაიწვნენ. ამის შემდეგ არავითარი მორალური უფლება არ მქონდა დავრჩენილიყავი თბილისში, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოს მეთაურმა კატეგორიულად ამიკრძალა დედაქალაქის დატოვება, რადგან აქაც საკმაოდ მნიშვნელოვანი დავალებები მქონდა შესასრულებელი. ჩემი მოვალეობანი დროებით უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს გადავაბარე და ორი პატარა თვითმფრინავით — „იაკით" სპეციალური დანიშნულების რაზმთან ერთად ჩავფრინდი სოხუმს. ამ განუწყვეტელი ბომბვისა და ჭურვების გრიალში მაინც მოვახერხეთ აეროდრომზე დაჯდომა. ხოლო ოცდარვაში — დილის ხუთ საათზე სოხუმის აეროდრომი ბოლო თვითმფრინავმა დატოვა (მასში სახელმწიფოს მეთაური იმყოფებოდა).

სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელს მოვლენათა საჯარო ანალიზის უფლება არა აქვს. მას აქვს ამოცანა. მან უნდა შეასრულოს ეს ამოცანა. არის ასეთი გამოთქმა — გრძნობა შესრულებული მოვალეობისა. იმ წუთს სწორედ ეს გრძნობა დამეუფლა.

აქ შემთხვევით როდი გავიხსენე „ოდიშისა" და „ალფას" რადიოსაუბარი. ეს იყო ვერაგული შეთანხმება. ზუგდიდში მყოფ ექსპრეზიდენტის მომხრეებსა და არძინბას შორის. ეს იყო სატანისებური გარიგება. და ეს კიდევ უფრო წარმოჩნდა დასავლეთ საქართველოში დატრიალებული მოვლენების შემდეგ, როცა ექსპრეზიდენტის მომხრეები უტევდნენ წყალტუბოს და იქიდან ქუთაისის აღებას აპირებდნენ... რა სასტიკი, და დაუნდობელი იყო მათი გაბრძოლება, ეს მთელმა საქართველომ იცის... ის ტკივილი, ის ჭრილობები დღემდე მოუშუშებელია. დიახ, ძალადობას, სისხლს, ვერავითარი იდეით ვერ გაამართლებ. არ შეიძლება კეთილშობილურ მიზანს ამოეფარო და აკეთო ბნელი, უვერაგესი საქმე. მე ვნახე, როგორ ნადგურდებოდა ჩვენი ადამიანის სული, ფსიქიკა... რა არ გადაიტანა მან — ძარცვა, სახლების გადაწვა, ადამიანთა გატაცება, გაუპატიურება, გვემები. გაჩნდა აქამდე უცნობი სიტყვა „მაროდიორი". შიშის სინდრომი გაბატონდა დასავლეთ საქართველოში. მიწის მუშრალმა მიატოვა ეზო-კარი, ყანა, საქონელი... სწორედ ამ დროს დამნიშნეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად. ეს იყო ოქტომბერში. ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში თითქმის ხუთი თვის შემდეგ შევედი. ურთულესი დრო იყო. დასავლეთ საქართველოში — სენაკსა და ზუგდიდში წყდებოდა საქართველოს ბედი, სასწორზე იდო საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. იყო ლალატი და სრული განუკითხაობა. გულქვა უნდა ყოფილიყავი, არ გაგეთავისებინა ამ ადამიანთა უსაზღვრო სევდა და წუხილი. მაგრამ, როცა შენს თანაგრძნობას წყევლასა და მუდარის ტალღა ახშობს, ამაზე საშინელება არაფერია. ვხედავდი მათ გამძვინვარებულ, სასოწარკვეთილ სახეებს... ისინი ჯგუფ-ჯგუფად, ულევ ნაკადად მოდიოდნენ ჩვენთან... პოლიციელებთან. შველას ითხოვდნენ. ლაჩრებსა და მხდალებს გვეძახდნენ. მე ეს აქამდე არსად დამცდენია. მე ხომ სენაკელი ვარ! დაანგრიეს და გააპარტახეს ჩემი სახლი. ძლივს მივაგენი დედაჩემს.

ახლობლები სულ მეკითხებიან, სოხუმში ყოფნისას როგორ ვერ გადავარჩინე ბიძაჩემის — პანტე კვირაიას ოჯახი. იმ წუთს ეს ჩემს ძალას აღემატებოდა. ბიძაჩემი თავის ეზოში წამებით მოკლეს.. მისმა მეუღლემ გაქცევა მოახერხა. ზუგდიდამდე ფეხით იარა. იქ კი ექსპრეზიდენტის მომხრეებმა შეიპყრეს, საშინელი წამებით ამოხადეს სული. კვირაია იყო გვარად და იმიტომ...

სოხუმში გმირულად დაიღუპა ჩემი ალალი დეიდაშვილი, თვრამეტი წლის ჯემალ ცხვიტავა. ვამაყობ მისი სიმამაცით, მისი ქედუხრელობით. არ ვიცი, როგორ ვანუგეშო ჩემი უახლოესი ნათესავის ბაჩო ჩაჩიბაიას მშობლები. პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი გახლდათ. ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი იყო. ზუგდიდში ჰყავდათ დატყვევებული. ჯერ აწამეს. მერე კი საკანში ჩამოახრჩვეს. ეს ჩემი პირადი ტრაგედიაა.

მაგრამ ჩემი ტრაგედია რა მოსატანა. იმ საშინელებებთან, რაც ექსპრეზიდენტის მომხრეებმა თავს დაატეხეს ზუგდიდს, სენაკს, ხობს... ამ რეგიონის სხვა რაიონებს... აი, მაშინ დამებადა გეგმა ფართომასშტაბიანი საიდუმლო ოპერაციებისა. სახელმწიფოს მეთაურმა მოიწონა ეს გეგმა. უმძიმესი მემკვიდრეობა მივიღე. მთელს შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ათეული ავტომატი ჰქონდა! ახლა არ არის საჭირო იმის ძიება, ერთი კვირის თავზე საიდან მოვიტანეთ ორიათას ხუთასი ავტომატი, ტყვია-წამალი და მძიმე ტექნიკა. შევქმენით ჯგუფები. მათი გადასხმა თვითმფრინავით ხდებოდა კოპიტნარში, საიდანაც დისლოკაციის ადგილებში ვანაწილებდით. ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთ საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრეები აკონტროლებენ. ჩვენი პოლიცია მათს პირისპირ აღმოჩნდა. ათასი რამ იყო გასათვალისწინებელი. უპირატესად კი კვების საკითხი. ამასაც ვაგვარებდით. როცა სამტრედია გავწმინდეთ, იქიდან მოყოლებული ზუგდიდამდე სახელმწიფოს მეთაური ჩვენს გვერდით იდგა. წარმოუდგენელმა ძარცვამ და მაროდიორობამ ლამის სული ამოხადა სენაკს. იღუპებოდნენ ჩვენი პოლიციელები. ქედს ვიხრი მათი ნათელი ხსოვნის წინაშე. ისინი უთანასწორო ბრძოლაში რაინდებად დაეცნენ. არ ვიცი, რითი ვანუგეშებთ პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტების მშობლებს, — თითქმის პირტიტველა ბიჭების მშობლებს, რომლებსაც ვერც კი წარმოედგინათ თუ მოძმის ტყვია მოუსწრაფებდათ სიცოცხლეს...

დღეს, თბილისში მიტინგებზე გვთხოვენ პასუხს იმ მაროდიორების გამო, რომლებიც ამ შეტაკებისას „დაიღუპნენ". დიახ, ერთ-ერთ მიტინგზე ბრძანეს, — ექვსი სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა გამოასალმეს სიცოცხლესო... ცდებიან ბატონი ვაიპოლიტიკოსები. სინამდვილეში 18 მაროდიორი და კაცისმკვლელი დაისაჯა იმ ოპერაციების დროს. მათ ავიწყდებათ — მარტო ერთი შეტაკებისას რამდენი ჩვენი პოლიციელი მოგვიკლეს ყაჩაღებმა. დიახ, ეს ზუგდიდში მოხდა. მაშინ მეც ვიყავი პოლიციელთა გვერდით. სროლა ერთ საათს გაგრძელდა. მე დავიჭერი. დაიჭრნენ ჩემი თანამშრომლებიც — სრულიად ახალგაზრდა პოლიციელები. ამ სროლის დროს ზოგიერთი იყო ლიკვიდირებული. ხოლო ვინც ავიყვანეთ, მათი პოლიციაში მიყვანა არ მოხერხდა, რადგან აზვირთებული ხალხი მათ ძველი ქართული წესით ჩაქოლვით გაუსწორდა.

მაშინ ყაჩაღები დარასელიას, ჩაჩიბაიას, კვასალიასა და ჭითანავების ოჯახებს აფარებდნენ თავს. ჰკითხონ ამ ბატონებმა იმ ოჯახთა უფროსებს, რა ტკივილი დაუტოვეს ყაჩაღებმა. ჰკითხონ დარასელიას ოჯახის უფროს ქალბატონს, — როგორ წააჭრეს საქორწინო ბეჭდიანი თითი... ჰკითხონ ჟიული შარტავას ოჯახს, — რა ბედი ეწია მის სახლს... სურათის ჩარჩოც არ დაუტოვებიათ! დიდია გაუბედურებულ და დამწუხრებულ ოჯახთა რიცხვი. მოუშუშებელ იარად დარჩება იგი ერის სულს. ეს წარსული არ გახლავთ. ეს გუშინდელი დღეა. თვალწინ მიდგას წყალტუბოს სანახებიდან დაძრული ექსპრეზიდენტის მომხრეთა ბანდები... საქართველოს „დაპყრობის" გეგმის ნაწილი იყო წყალტუბოს ოპერაცია. იგი გროზნოსა და გუდაუთაში დამუშავდა. ხელთ მაქვს საუბრების ჩანაწერები, მიმოსვლის უტყუარი საბუთები... თუ საჭიროება მოითხოვს, მე გამოვამზეურებ მათ...

აქ ცალკე მინდა გამოვყო მაროდიორები. ისინი სამთავრობო შენაერთების სახელით მოქმედებდნენ და სახელს უტეხდნენ მათ. ესეც ვერაგული გეგმის ნაწილი იყო — როგორმე სახელი გაეტეხათ სამთავრობო ჯარისათვის. ასე იყო ზუგდიდში, ხობში. ჰკითხონ ბატონებმა ჩვენი ტელერეჟისორის ბოლქვაძის დედას, მასთან ერთად დახოცილ გვარდიელთა დედებს, — რასა ფიქრობენ ექსპრეზიდენტსა და მის სახელს ამოფარებულ ვაიპოლიტიკოსებზე!..

აქამდე სიტყვა არ დამიძრავს იმ საშინელებებზე, რაც ქობალიას ბრძანებით ხდებოდა ნოკალაქევსა და ძველ სენაკში... ათი-თორმეტი წლის ბავშვი არ დარჩენილა გაუპატიურებელი... ეს ყველაფერი აღნუსხულია. ჩვენ მაშინ არ გვეყო ძალები ამ გარეწართა ასალაგმავად. მსხვერპლიც დიდი გვქონდა. სენაკის აღება თითქმის ორჯერ მოგვიხდა, რადგან იქ ჩვენი კურსანტები დარჩნენ და გარდუვალი სიკვდილი ელოდათ. ცელოფანის ტომრებში გახვეული მკვდრებიც გამოვიყვანეთ განაწამებ და სასოწარკვეთილ ჭაბუკებთან ერთად...

ახლა, დროის გადასახედიდან ეს ყველაფერი უსაშინელეს ნალექად მრჩება. ახლაც, ღამღამობით, მესმის გაბახებული, გამწარებული და ნაწამები დედებისა და მოხუცების ქვითინი, რომელსაც შემაზრზენი წყევლაც ახლავს... ისინი ჩვენ გვწყევლიდნენ, — უსუსურობის, მათი დაუცველი ოჯახებისა და დარბევებისათვის... მაინც, რა ვითარება სუფევდა! მხოლოდ 2 ნოემბერს გამოიცა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანება მაროდიორთა ადგილზე, გაუსამართლებლად ლიკვიდაციის შესახებ... მაშინ მივხვდი, რა კატასტროფულ ზღვართან ვიდექით! უფსკრულს მხოლოდ ერთი ნაბიჯი თუ გვაცილებდა. მე უნდა დამეცვა ჩემი ხალხი. მნიშვნელობა არ ჰქონდა მათ პოლიტიკურ შეხედულებებს... ვინ ვის მხარეზე იყო. სამთავრობო ჯარებშიც იყვნენ უზნეო ადამიანები. მოსახლეობას იმათგანაც ვიცავდით. ქართული პოლიცია ის იყო ფეხს იდგამდა, ძალას იკრებდა. ამასთან, ბევრი რამ იყო გადასასინჯი. მათი მომზადება, სულიერი ფასეულობანი, ადგილებზე დავნიშნეთ ახალი კადრები. შევაიარაღეთ. სინამდვილეში ნულიდან დავიწყეთ.

ჩვენს პოლიციას სახე ჰქონდა დაკარგული. ოთხმოცდაცხრა წლის შემდეგ გამუდმებით არბევდნენ მას. ართმევდნენ იარაღს. სასტიკად უსწორდებოდნენ. აღზევდა უკანონობა. ეს ყველაფერი ერის თავისუფლების ეგიდით ხდებოდა. ერის თავისუფლებას კრიმინალები იცავდნენ. ეს ბრძოლა ისევ გრძელდება. დაახლოებით ხუთი ათასი პოლიციელი მონაწილეობს ფართომასშტაბიან ოპერაციებში. პოლიციამ უკვე თქვა თავისი სიტყვა. სწორედ აქ, დასავლეთ საქართველოს ოპერაციებში წარმოჩნდნენ ერის ჭეშმარიტ და ერთგულ რაინდებად. ისინი ჩემს გვერდით იდგნენ. სიამაყით ვახსენებ მათ სახელებს. მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს მეორე სტატისტიკაც. მძიმე, შავარშიამოვლებული. ეს წარმოუდგენლად დიდი დანაკარგია. მაგრამ ახლა რაიმე დათმობაზე, რაიმე კომპრომისზე წასვლა ღალატს ნიშნავს მათი ხსოვნის წინაშე.

საქართველოში ვნებებმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ასეთ დროს ქვეყნის გამოსაჩენ ტრიბუნასთან დგომა დღევანდელი დღის პასუხისმგებლობით როდია დამუხტული. მას სახვალიო საფუძველიც აქვს. მინდა მოვიშველიო სიმართლის ქრისტიანული გაგება. ადამიანები ცუდები კი არ არიან, არამედ საარსებო კოდის გარდა ზეძალამ არასწორი აზროვნების უნარითაც დამუხტა. ასე გაჩნდა ურთიერთდაუნდობლობის, გაუტანლობის ფენომენი. ეს განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდა ბოლო ხანს, როცა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ტრიბუნა ლამის ცემა-ტყეპის სარბიელად იქცა. სად გაქრა ხალხის რჩეულთა თავშეკავებულობა, ურთიერთპატივისცემა? ადამიანები გაუგონარი სისასტიკით უსწორდებიან ერთმანეთს. ან რა საწყაო იტევდა ამდენ ბოღმას, ან რა საჩურთში იყო გახვეული ამდენი გულცივობა, ცინიზმი, გაუტანლობა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ხელოვნურად ვქმნით ამ სიტუაციებს, როცა სახელმწიფო სტრუქტურების ძირეული შეცვლისათვის ვიბრძვით, ეს ბრძოლა, ეს მოწადინება უკომპრომისო უნდა იყოს. ალბათ, საჭირო იქნება ჩვენი შინაგანი ძალების რექტიფიკაცია. ეს ტერმინი ახლახან შემოიჭრა ურთიერთობებში და ე. წ. შენაერთებისაგან გაწმენდას ნიშნავს...

ჩემს სულიერ წყობაში არ არსებობს ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკა. არ მომწონდა ექსპრეზიდენტის პოლიტიკა. მაშინ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ვიყავი. გავიხურე კარი და იძულებული გავხდი ემიგრაციაში წავსულიყავი. ექვსჯერ დაარბიეს ჩემი ბინა იარაღის ძებნის მოტივით. შუაღამისას მოდიოდნენ, ამტვრევდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ. მიკვირს, მაშინ რატომ არავინ აიმაღლა ხმა ამ უკანონო ჩხრეკვის გამო? სად იყვნენ მაშინ ის ვაიპოლიტიკოსები, ასე თავგამოდებით რომ მისტირიან მაროდიორების, ყაჩაღების, მკვლელების, ქურდების სიცოცხლეს...

ამ პერიოდში საკავშირო სამინისტროს სტრუქტურებში დავიწყე სამსახური. მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონი მებარა. ძალიან კარგად ვიცი, ვინ ჩამოდიოდა მოსკოვში, ვინ ვის ხვდებოდა. მოსკოვში ხდებოდა საიდუმლო მოლაპარაკებანი. თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან... როგორც ინტერპოლის თანამშრომელს, ხელთ მქონდა ინფორმაცია ამ კონტაქტებზე. ვინ არიან ისინი? ვაიპოლიტიკოსები. და წარმოიდგინეთ — ზოგიერთი ჟურნალისტიც. არ ვიცი, რა სინდისით ლაპარაკობენ ისინი ერის სახელით. თავად — არაფრის შემქმნელნი და უავტორიტეტონი, — თამამად მიიწევენ ერის უდიდესი ტრიბუნისაკენ. რა მოჰყვა ყოველივე ამას — თავად ვიწვნიეთ. დანგრეული, გახლეჩილი საქართველო, უკიდურესობამდე მოშლილი ეკონომიკა. ათასნაირი დამნაშავე კლანებისა და მაფიოზური დაჯგუფებების აღზევება. არ მეშინია ამ სიტყვის თქმისა — დღეს მთელი საქართველო ერთ კაცს აწევს მხრებზე. მისი მსოფლიო ავტორიტეტი რომ არა, სრული პაუპერიზაცია გველის.

სულ ახლახან იყო — რესპუბლიკაში სრული განუკითხაობა სუფევდა. ადამიანს გათენებისა და დაღამების ეშინოდა. უკვე შევძელით მოგვეხსნა შიშის ეს სინდრომი. ქუჩაში ვერ გახვიდოდი, ავტომანქანით ვერ გაივლიდი. ქალაქს გაუთავებელი სროლის ხმა აშფოთებდა. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს იდეალური სურათი მინდა წარმოვაჩინო. ასეთი რამ წარმოუდგენელი გახლავთ. ჯერჯერობით. მაგრამ ჩვენი ფართომასშტაბიანი ოპერაციების შემდეგ ადამიანებს იმედი ჩაესახათ. ამ ოპერაციებმა თავისი ამოცანა შეასრულა. შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში მათ წარმართვას ნაკლოვანებებიც ახლდა, (ისინი ჩვენ გავაანალიზეთ და მკაცრი დასკვნები გამოვიტანეთ!), მაგრამ მთლიანი შედეგები [illegible], რომ სრულ [illegible] არაერთი ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარება მოგვიხდება. სულ რამდენიმე დღის წინათ ასეთი ოპერაცია კახეთის რეგიონში მოვაწყვეთ. არ გამოგვიყენებია მძიმე ტექნიკა. ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით მოხდა მთელი უმსგავსოების ალაგმვა, რაც მე ტვირთად აწვა ხალხს, სახელმწიფოს.

თავიდან, როცა დასავლეთ საქართველოს რეგიონში ფართომასშტაბიანი ოპერაციების გ ვადგენდი, ვიცოდი, რომ მა ამით არ უნდა შემოფარგლუ ყო შინაგან საქმეთა სამინისტ საქმიანობა. პარალელურად [illegible] სისტემის რეორგანიზაციის, სტრუქტურის სრულყოფისათვის. საჭირო იყო სამინისტროს მმართველობითი ფუნქ აღდგენა, ადგილობრივი ორგანოების ბრძოლისუნარიანობის ძლიერება, კადრების გაწმენდა. მემკვიდრეობაზე ჩამოვაგდე სიტყვა. აქ უმძიმესი მდგომარეობა დამხვდა. საკადრო პოლიტიკა დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად ორგანოებში არაერთი გამომძალველი, ნარკომანი, მორალურად და პროფესიულად შეუფერებელი პიროვნება მო და. მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა. ვერ გვაკმაყოფილებს ზოგიერთი რაიონის პოლიციის განყოფილებათა საქმიანობა. შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. თბილისის პოლიციის მთ სამმართველოში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. პირველი [illegible]ლული შედეგი: ღამით ქალაქში თავისუფლად დადიან ადამიანები, მოძრაობენ მანქანები... ქალაქს მშვიდი ცხოვრების იმედი ჩაესახა.

ვიღაცას, ალბათ, ხელს აძლევს ეს სიმშვიდე. ძა „სტკივა" სტაბილურობისაკენ მავალი ქვეყნის ბედი... ისევ ჩხუბი, ისევ მიტინგებისაკენ უწოდებს ხალხს... რას გვი ქუჩაში გასვლა? განსვენება ექსპრეზიდენტის სულთან ცი? ყოველივე ამას აქვს ეული მიზანი: დესტაბილიზაცია ამღვრეულ წყალში ბის ჭერა. მე კი ამას სავარძ ისათვის ბრძოლას დავარქმევ თუ ამ მომიტინგეებს მარ აქეთ ის ჯადოსნური ძვ ქვეყანას ხელის ერთი აქნ სამოთხედ რომ აქცევენ, ბატონო, ჩემი სკამი და თან ბობა! მაგრამ ეს ასე არ გახ ისინი ქაოსს, ყაჩაღთა თ განუკითხაობას გვთავაზობენ ვნებითი ერისკაცობით... ლიცია ასეთ საქმეში არ პარტიის არ გამოადგება. ადამ მშვიდი ცხოვრება, სამსახურ შინ დამშვიდებული მის სურს. პოლიციამ სხვა სამართ დამცავ ორგანოებთან ერ სახელმძღვანელოდ გაიხადა რამდენიმე დღის წინათ გამო ყენებული ბრძანებულება შავეობასთან ბრძოლის გადაუ ბელი ღონისძიებების შესახებ. უფრო მკაცრ განკარგულ ველოდი. დემოკრატია კარ მაგრამ დღეს საქართველოში ლიციას უფრო მეტი უფლ უნდა მიეცეს. უცხოეთის ნებისაკენ გვიჭირავს თვალი. რემ ისიც გადმოვიღოთ, რომ ქვეყნებში პოლიციელის უბრა შეურაცხყოფაც კი უსასტიკ განაჩენით — ტყვიით ისჯება.

ხშირად გვეკითხებიან, რა მებს ვახორციელებთ ტერორის ტულ აქტებზე... ეს უშიშროე სამსახურის პრეროგატივაა, რამ იმას არ ნიშნავს, რომ გან საქმეთა სამინისტრო გვე ში არ იდგეს მას... ეს ყველას, სისხლხორცეული საქ

პოლიცია პოლიციას ემსგავს

ამ დღეებში საგზაო პოლ მიიღებს „რენოს" მარკის ოც ტომანქანას. პოლიციისათვის კუთვნილი სპეციალური და ნულების მანქანები უახლესი ქნიკით არის აღჭურვილი. წინათ ჩვენმა სამსახურმა მოს ვში 120 ათასი დოლარი „ ლო". სწორედ ამ თანხით ძინეთ „რენოს" მანქანები. სახელმწიფოს მეთაურის ხელ წყობითა და ინიციატივით მო

ჩვენ თითქმის ყოველ ვგრძნობთ ამ ზრუნვას.

ამიტომაც არის, შინაგან მეთა სამინისტროს ორმოც ათასიანი კოლექტივის განწყო ლება უფლებას მაძლევს გამ თქვა მზადყოფნა არსებული ბლემების გადასაჭრელად. დავუჭიროთ იმ კურსს, დღევანდელი ხელისუფლება რციელებს ქვეყნის წინსვლ ვის...

ვანგრევთ თუ ვაშენებთ საქართველოს?

ფელეტონი

ზოგიერთი მეისტორიე ამტკიცებს, მოვლენები მეორდებაო. საქმის გაბერვის მოყვარულები ამას მეტისმეტად აზვიადებენ — თუ ჭკუას ვერ ისწავლი, შეიძლება ისტორია სამჯერ, ოთხჯერ და ხუთჯერაც კი განმეორდესო. არ ვიცი, რად მოუნდომებია ისტორიას მაინცდამაინც ჩვენ გვასწავლოს ჭკუა, როცა უჭკუოდაც შესანიშნავად ვცხოვრობთ. ჩვენთვის განმეორება სახალისო რამეც კი გამოდის, აშენებულს ისე დავანგრევთ, ერთხელაც არ გაგვკრავს გულში, ერთიც ვნახოთ და ვეღარ ავაშენოთ. დიდი ამბავიო, — ხელად ჩამიჭრის ცხოვრებისაგან დაბრძენებული ჩვენებური, მაშინ დასანგრევიც არაფერი გვექნება და მოვისვენებთო.

ყველას კარგად მოეხსენება, საქართველოში ნგრევის ჟინით შეპყრობილი ზომაზე მეტია. ისინი დიდ გმირებად მიმაჩნდა, თუმცა გაცილებით ნაკლებს ანგრევენ, ვიდრე შეუძლიათ, მათი მონდომება და გულგრილობაც ხომ ანგარიშგასაწევია, მაგრამ მწარედ შევცდი, უფრო დიდი გმირობაც ყოფილა, თურმე: თუ ვაჟკაცი ხარ, ტექნიკის მიღწევას — ნაღმს თავი დაანებე, ხელში წერაქვი, ბარი და ურო აიღე და ყველას დასანახად გამოუთხარე ხიდებს ბურჯები, დაანგრიე გზები, გადააყირავე მატარებლები, ერთი სიტყვით გულდაგულ დაფლითე შენი დედამიწა, შენი საქართველოს სხეული!

თუნდაც ზესტაფონიდან თბილისისა და საჩხერისაკენ მიმავალ რკინიგზის მონაკვეთებს გახედე, თვალწინ დაგიდგება საოცარი სურათი — თავი საუკუნის წინანდელ ალიასკაში გეგონება, ყველას რომ საკუთარი ორმო-სამუშაო ადგილი ამოურჩევია და თხრის და თხრის, მაგრამ ეძებენ არა ოქროს, არამედ... წიდას! დიახ, წიდას, რომელსაც კომუნისტების დროს წარმოების ნარჩენებს ეძახდნენ და ყრიდნენ სადაც მოხვდებოდათ, ხოლო როცა ყველაფერი გადაიტენა ამ წიდით, ნიჭიერმა სოცრაციონალიზატორებმა იგი სამშენებლო სამუშაოზე გამოიყენეს. მერე კი, როგორც წესი და რიგია, ყველას დაავიწყდა გზებსა და ჯებირებში ჩაყრილი წიდა, სანამ არ აღმოჩნდა, რომ ვყრიდით თურმე ძვირფას ლითონებს და წარმოების ნარჩენები კი არა, თავი და ბოლოც ეგა ყოფილა!

რაკი ამაზე დაფიქრება და თავისტეხა აღარ ღირდა უფრო ჯანიანებმა გადაწყვიტეს წიდა თუნდაც კილომეტრიანი ჯურღმულებიდან ამოეკრიფათ და შახტები გათხარეს, ხოლო ქალები და ბავშვები ორმოების თხრას დასჯერდნენ შედარებით უხიფათო ზონებში, ძირითადად იმერეთის სხვადასხვა სოფლების გზებსა და მდინარეების ნაპირებზე.

— მერე რათ უნდათ ამდენი წიდა? — იკითხავს გულუბრყვილო მკითხველი.

მეც დამებადა ეს კითხვა და პასუხისათვის მივმართე ერთ რეკორდსმენ მეშახტეს, რომელიც, თუ საქმე რიგზე წაუვიდა, ალბათ, წლის ბოლომდე ამერიკაში გაძვრება. მან ერთი საათი მოანდომა შახტიდან ამობობღებას და გამურული შუბლი მოიწმინდა:

— ვყიდით! აბა, სახლში ხომ არ წავიღებ? ვყიდით ყოველგვარ ფულზე, გარდა კუპონისა.

— მუშტარი გყავთ?

— შემსყიდველი რომ არ იყოს, რა თავში ვიხლით ამ რკინას?

— რას გიხდიან?

— ადგილზე მოსული დამამზადებლები 100-120- მანეთს კილოგრამში, ხოლო თუ შენ ჩაიტან, ვთქვათ, ზესტაფონში არსებულ კოოპერატივს — 150 მანეთსაც კი.

რაკი ჩემი მეშახტე არამარტო მამაცი მუშა, საკმაოდ გაცნობიერებული კაციც გამოდგა. კითხვები დავაყარე.

— დამამზადებლებს სად მიაქვთ ეს ლითონი, თუ იცი?

— რას ჰქვია არ ვიცი— — ეწყინა მეშახტეს, — თურქეთში. იქ, თურმე, რკინა არ იშოვება და დოლარებზე ჰყიდიან, გააქვთ რუსეთში, ქა რომ რაღაც ქვეყნებია...

— ესენგეს ქვეყნებში?

— კი, მანდ! მე მგონი რაღაც საქართველოში რჩება. სარფიანი საქმე გამოდგა ეს, ბევრმა სიმდიდრესაც წამოჰკრა ხელი.

— პოლიციის ვერსიით, ეს ხალხი ღარიბ-ღატაკი, დამშეული ხალხია!..

— ეგ შეიძლება მართალი იყოს, პოლიციას რა გამოეპარება! — კითხვა შემაწყვეტინა მეშახტემ. მაგრამ აგერ, ჩვენს ქვემოთ, ორმოსთან კაცი რომ ჩამომჯდარა, მაგას სახლში სამი ძროხა ჰყავს, არც სხვებს უხმებათ კუჭი შიმშილით, კი, ბევრი გაჭირვებულიც მოდის ამ გზაზე, მაგრამ მაგათზე გაუჭირვებლებიც მინახავს.

— გაჭირვებულმა გაჭირვება უნდა მოსპოს და არა საკუთარი ქვეყანა, საკუთარი სახლი ანგრიოს!

— რას ამბობ? — გაკვირვებით შემომხედა მეშახტემ, — არცერთი არ ანგრევს საკუთარ სახლს... მართალია, არც ისე იოლია ეს საქმე. ზოგმა უსაფრთხოება ვერ დაიცვა, მარტო ამ მონაკვეთში ექვსი კაცი დაიღუპა, თორმეტი დასახიჩრდა.

— მერე და რას უყურებს პოლიცია, რატომ ზომებს არ მიმართავს?

— რას გადაეკიდე ამ პოლიციას! — შენიშვნა მომცა მეშახტემ, — პოლიციას თავის გაჭირვება ადგას, კანონი არ უჭირავს ხელში, როცა ლაპარაკის გუნებაზე ვართ, აქედან იქით ვაშინებთ, კაი ბიჭია და რომელიმეს უბატონოდ ხმას გასცემს.

მთლად მართალი არ გამოდგა ჩემი ყველაფრის მცოდნე მეშახტე. პოლიციას ხელში კანონიც უჭირავს და დებულებაც, თანაც როგორ პოლიციას, სპეციალურად შექმნილ ეკოლოგიის პოლიციას!

აი, რა წერია ეკოლოგიის პოლიციის დებულებაში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ კიდევ 1993 წლის 25 იანვარს დაუმტკიცებია: ეკოლოგიის პოლიციის ფუნქციები და ამოცანაა გარემოსა და საზოგადოების ლოგიური უსაფრთხოების და ბრძოლა ბუნებრივი რესურს უკანონო მოპოვებასთან, ეკო გიური სამართალდარღვევების იდან აცილების ღონისძიებ ეკოლოგიური დანაშაულის და მართალდარღვევების გამომწ მიზეზებისა და პირობების და ნა. ზომების მიღება მათ აღმო ფხვრელად. ეკოლოგიის პოლ ას შეუძლია დაუყოვნებლივ ხდინოს რეაგირება ეკოლოგ დანაშაულზე... მარტივად ვთქვათ, „დააკავოს" ასეთი პი ვნება.

ეს არის ქაღალდზე.

სინამდვილეში კი ეკოლო პოლიცია მაინცდამაინც არა ერჩის. ასე რომ, უშიშრად გა დით ჯერ კიდევ სირცხვილშერ ნილებო, მედგრად დაჰკარით წერაქვი, ბარი და ურო თქვ ფეხქვეშ განრთხმულ საქარ ლოს მიწას, წაართვით რისი თმევაც შეგიძლიათ, ნუ ფიქ რებთ იმაზე, რომ ამით ხიდი ინგრევა ან მატარებელი გად რუნდება. გადაბრუნდება და გადმოაბრუნებენ! თქვენ კი დიდრდით, გამდიდრდით ყოვ გვარი საშუალებით და როცა რუნველად იცხოვრებთ, აღ თქვენ დაგიბადებათ მწარე ვა: ვანგრევთ თუ ვაშენებთ რთველოს?!

გივი მარუაშვილ

პოზიცია

თითქოს ჩვენამდე არავის აეშენებინოს სახელმწიფო

არასოდეს ამიგია ჩემი მსოფლმხედველობა ვინმეს სიყვარულ-სიძულვილზე. ამქვეყნად უშეცდომო არავინ არის, მაგრამ ჩემი საქციელის ან სიტყვის უკან არასოდეს მდგარა პირადი ან სხვა რამ მერკანტილური მოსაზრება. არც შეცდომის აღიარების მეშინია, თუკი დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შევცდი. და პირიქით, ხშირად შეცდომის დაშვების შიშს არ მოუცია ხშირად იმის უფლება, რომ ხმამაღლა მეთქვა ოპონენტისთვის ის, რასაც ვფიქრობ, მაგრამ, როცა ყოველდღე აწყდები უპასუხისმგებლო სიტყვებს თუ საქციელს, რწმუნდები, რომ გაჩუმების უფლება არა გაქვს.

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, სულ ცოტა, ექვსწლიანი პოლიტიკური პროცესის შედეგია. მაგრამ დღეს თითქმის არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ სურს უკან მიიხედოს, რადგან ზურგსუკან მრუდე სარკეების სამყაროა და არავის სურს საკუთარი მახინჯი იერის დანახვა. გაცილებით უფრო ადვილია სხვისი პროფილის დაცინვა და სხვაში დამნაშავის ძიება.

ისინი, ვინც ყველაზე ხმალამოღებული ებრძოდნენ ე. წ. „რუსულ ცნობიერებას", ყველაზე გარუსებული ცნობიერების მატარებელი აღმოჩნდნენ. როგორც ერთმა რუსმა მოაზროვნემ თქვა, არსებობს ორი მარადიული რუსული კითხვა: „რა ვაკეთოთ?" და „ვინ არის დამნაშავე?" 6 წელიწადი მიილია ამ ორ მარადიულ კითხვაზე პასუხის ძებნაში. რა ვაკეთოთ, დღესაც ვერ მოვისმინეთ ოპონენტებისაგან (გარდა ყვირილისა — „ძირს"!!!), ხოლო დამნაშავეს ყველგან ვეძებთ: ხან რუსების ბრალია, ხან მასონების, ხან ინტელიგენციის, მაგრამ არამც და არამც საკუთარ თავში არ ვეძიებთ ჩვენი დაქცევის მიზეზს.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, ნათქვამია. რამდენჯერ უნდა გადაბრუნდეს საქართველოს ურემი, რომ ქართველებმა რაიმე გავიგოთ და გზა დავინახოთ?

ღმერთია მოწმე, რარიგ შეურაცხყოფილია ჩემი ეროვნული გრძნობები იმით, რომ რუსეთის რუკა საქართველოსას რამდენჯერმე აღემატება სიგრძე-სიგანით. მაგრამ რა ვქნათ, ერთი გავრცელებული სადღეგრძელოსი არ იყოს, რუსეთის ჯიბრით ხომ ვერ „გავაუთოებთ ამ ჩვენს დაჭმუჭნულ საქართველოს?" ან იქნებ ამოვეწეროთ ამ ისტორიული რაიონიდან და სხვაგან გადავიდეთ საცხოვრებლად? როგორ მოვიქცეთ? საოცარია, როგორ ეთანხმება ერთმანეთს, ერთის მხრივ, საქართველოს ისტორიის იდეალიზაცია და, მეორე მხრივ, ყველა დროის ქართული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მიუღებლობა; დღეს ოპოზიცია სწორედ იმაში სდებს ბრალს ხელისუფლებას, რამაც გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა საქართველო, კერძოდ, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის იმგვარად ბალანსირებულ პოლიტიკაში, რომ არც ერთი მტრად არ მოიკიდოს. თუმცა, ტრადიციულ ქართულ პოლიტიკაზე სულაც რომ არაფერი ვთქვათ, საპარლამენტო ოპოზიცია ხშირად ისე იქცევა, თითქოს საქართველო პოსტკომუნისტური საბჭოთა რესპუბლიკა კი არა, XII საუკუნის საქართველო იყოს და აღმაშენებლის მემკვიდრე ხელისუფლება „მოღალატურად" თმობდეს პოზიციებს. არ ვიცით, საიდან მოვედით? იქნებ, ეროვნული მოძრაობის მონაწილენი სხვა ქვეყანაში, არატოტალიტარულ რეჟიმში გაიზარდნენ, ან ვინმემ სათბურის პირობებში გამოიყვანა? ნუთუ ასე მალე დაგვავიწყდა იმ ცხოვრების წესი, რომელსაც ზოგი ეთანხმებოდა, ზოგი — არა, მაგრამ რომლითაც ყველანი ვცხოვრობდით? თავი მოუკვდა იმას, ვისაც კომუნისტურ წყობაზე ნოსტალგია აწუხებს, მაგრამ დაე, დღეს პირველმა იმან ესროლოს ქვა ყოფილ კომუნისტებს, ვინც არც ოქტომბრელი ყოფილა, არც პიონერი და არც ლენინის პორტრეტიანი კუპიურებით აუღია ხელფასი. სხვათა შორის, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში ერთი საცხაური ფოტოგრაფიაა დაცული, რომელზეც მერაბ კოსტავასაც და ზვიად გამსახურდიასაც ალისფერი ყელსახვევი უკეთიათ. რა ვუყოთ ამიტომ ამოვშალოთ ისინი ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან?

მახსენდება ამასწინანდელი ინციდენტი: რუსთაველის პროსპექტზე მომიახლოვდა ქალი, დარწმუნდა, რომ მე ნამდვილად მე ვარ და ისტერიულად მიყვირა, რომ უფლება არა მაქვს, თვალებში ვუყურო ჩემს ხალხს, რომ მე დავღუპე ქვეყანა და ა. შ. ერთბაშად ვერ აღვიდგინე, მერე კი ვიცანი ეს ქალი — გამსახურდიას ერთ-ერთი უაქტიურესი მხარდამჭერი. და ახლა სწორედ მას მინდა მივმართო: ზუსტად ასე დაიწყო დიალოგი ჩემსა და უშიშროების ორ თანამშრომელს შორის 1978 წლის აპრილში, „დედა ენის" ცნობილი გამოსვლების შემდეგ. მაშინ ბავშვი 6 თვისა მყავდა და ესეც გამოიყენეს: „განა დედა ხარ შენ, რომ 6 თვის ბავშვი მიატოვე აქ მოსასვლელად?" მაშინ ჩემი პასუხი ასეთი იყო: ჩემი შვილი გაიზრდება და აუცილებლად მკითხავს, სად იყავი მაშინ, როცა დედა ენას მართმევდნენ? და მე უფლება უნდა მქონდეს, თვალი გავუსწორო მას. შენც ასევე გიპასუხებ, ჩემი ვაჟი დღეს 16 წლისაა და არასოდეს ისეთი არაფერი ჩამიდენია, რაც არ მომცემს უფლებას მისთვის თვალი გამესწორებინა.

რაც შეეხება გამსახურდიას, შენთვის ის ერთგვარი პირადი ტრაგედიაც იყო. მე, შესაძლოა, ადამიანურად მესმოდეს კიდეც შენი, მაგრამ მე არასოდეს ვყოფილვარ მისი თანამოაზრე ან მეგობარი და, ამდენად, პატიოსანი ვარ მის და შენს წინაშე; რაც ვიყავი, ის დავრჩი. ხოლო გამსახურდიასა და შენს ყოფილ თანამოაზრეებს ნამდვილად უნდა ჰკითხო: როდის იყავით, ბატონებო, მართალი — მაშინ, როცა ზვიადს გვერდით ედექით, მერე, როცა ებრძოდით, თუ დღეს?

მაინც, რას უნდა ნიშნავდეს გამსახურდიას მომხრეებთან მისი „მრგვალმაგიდელი" დაუძინებელი ოპოზიციის ჩახუტება დღეს? განა ცოცხალი არ ჰყავდათ პრეზიდენტი, როცა ებრძოდნენ და მათი ბრძოლის მეთოდებიცა და პრეტენზიებიც ისევე არ გამოიყურებოდა, როგორც დღეს? ან დღეს რამ მოუბრუნათ გული? იმან ხომ არა, რომ გამსახურდია ცოცხალი აღარ არის და პასუხსაც ვერ გასცემს თავის ყოფილ „მეგობრებს?" საქმე ისე გამოიყურება, რომ ისინი გამსახურდიას მხოლოდ პრეზიდენტის სავარძელს ედავებოდნენ და სხვას არაფერს! მერედა უღირდა თბილისს დანგრეული რუსთაველი ერთ სავარძლად? ან რა პასუხს აძლევენ იმ სახლ-კარდამწვარ ჩემს უბნელებს, დღესაც რომ „ივერიაში" არიან შეხიზნული იმის მიუხედავად, გამსახურდიას მომხრენი იყვნენ თუ მოწინააღმდეგენი? აქვთ კი სურვილი ორი წლის წინათ დაწვას გადარჩენილ რუსთაველელებს, რომ დღესაც იგივე განმეორდეს? ხანდახან ვფიქრობ, რომ პოლიციელის ხელკეტი დედის ალერსია იმასთან შედარებით, როგორც შეიძლება იხუვლოს თბილისის გულში მცხოვრებმა მოთმინებაგადალეულმა მოსახლეობამ, რომლის სახელითაც გრძელდება ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ღმერთმა არ ქნას, რომ საქმე აქამდე მივიდეს.

ამ ორიოდე თვის წინათ, დასავლეთ საქართველოში საგანგებო ვითარებაზე მსჯელობისას, პარლამენტში ვიხუმრე: აგერ, ტრადიციონალისტები მიდიან დასავლეთში და თუ უდანაკარგოდ დაგვიბრუნდებიან, იქნებ მოვხსნათ კიდეც საგანგებო ვითარება-მეთქი. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ტრადიციონალისტებს დასავლეთში მართლაც შეემთხვათ გარკვეული გაუგებრობა, რასაც სროლაც მოჰყოლია. ჩამოსულებმა განაცხადეს, ნანა დევდარიანმა წინასწარ იცოდა იქ რაც უნდა მომხდარიყოო! ამან ერთი ძველი ანეგდოტი გამახსენა; ხეზე ასული აბორიგენი იმ ტოტს ხერხავდა, რომელზეც იჯდა. გამოიარა გეოლოგმა და ურჩია: ნუ იზამ მაგას, თორემ ჩამოვარდები და დაიმტვრევიო. არ დაუჯერა აბორიგენმა, მოხერხა ტოტი, ჩამოვარდა და დაიმტვრა. საშველად მისულ გეოლოგს კი ხელების ქნევა დაუწყო, გამშორდი, შამანოო! შამანობა სჭირდება იმას, რაც ხელისგულზეა? გულთმისნობა უნდა იმის მიხვედრას, რომ გაჭირვებული და გაღიზიანებული ხალხი ველარ აიტანს მიტინგომანიას და ლოზუნგებით მანიპულირებას? საკმარისად ვუცქირეთ რუსთაველზე მცხოვრებლებმა, ორად გაყოფილი მოქალაქეები როგორ ამტვრევდნენ თავ-პირს ერთმანეთს და მერე რისთვის, — ვიღაც-ვიღაცეების სავარძლებისა თუ ამბიციებისათვის!

დღეს პარლამენტში თუ მის გარეთ ისეთ პიროვნებებსა აქვთ სახელმწიფოს მეთაურობის პრეტენზია, რომ თავადაც კი რცხვენიათ ამის ხმამაღლა გაცხადება და ამიტომ ამ ეტაპზე მეთაურის პოსტის საერთოდ გაუქმებას მოითხოვენ. ხომ კარგი სანახავი იქნება ეს ისედაც თავგზააბნეული ქვეყანა საერთოდ უთაოდ, ან, უფრო სწორად, ასთავიანი გველეშაპის ამარა რომ დარჩეს! ერთ-ერთმა ახლად გაერთიანებულმა პარტიამ ხომ სამი ლიდერიდან ერთი ვერ აირჩია და თანათავმჯდომარეებად დაისვა სამივე. აბა, წარმოიდგინეთ საქართველო, რომელსაც სამი თანაპრეზიდენტი ეყოლება! წარმოიდგინეთ? ვერა? ესე იგი, ბუნებით არა ხართ რეფორმატორი.

უხეშად რომ ვთქვათ, არსებობენ ორგვარი პოლიტიკოსები — პრინციპულები და უპრინციპონი... თუმცა, დაყოფა ერთობ პირობითია და ბრჭყალებს ითხოვს. „პრინციპულები" ის კატეგორიაა, რომელთა მოთხოვნები ბოლო 6 წლის მანძილზე არ შეცვლილა იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკა რადიკალურად შეიცვალა. ისინი კვლავ ჯიუტად გაიძახიან: „გამოვუცხადოთ ომი რუსეთს!" როცა 1988 წელს ერთ-ერთ ამგვარ „პრინციპულ" პოლიტიკოსს მოსკოვში ჩასვლისას ჰკითხეს, რა ჩავწეროთ სასტუმროს სარეგისტრაციო ბლანკის გრაფაში „ჩამოსვლის მიზანი"?, მან სრული სერიოზულობით უპასუხა: „იმპერიის დანგრევა"! 1988 წელს ეს კომიკურ ელფერს ატარებდა, დღეს კი, როცა ამ ფრაზის ავტორი პარლამენტის ერთ-ერთი წამყვანი კომისიის თავმჯდომარეა, იგივე დამოკიდებულებას ტრაგიკული შედეგები მოაქვს და თანაც, არა მისი ავტორისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

მეორე კატეგორიაა — „უპრინციპო" პოლიტიკოსები. ისინი, ვინც სხვადასხვა ეტაპზე ხან გამსახურდიას მომხრენი იყვნენ, ხან მისი მოწინააღმდეგენი, ხან შევარდნაძის ბლოკში იყრიდნენ კენჭს, ხან მისი მტრები იყვნენ. დღეს კი ყოფილი მტრის — გამსახურდიას მომხრეებთან ერთად ატარებენ მიტინგებს. რა გარანტიაა, რომ ხვალ ისინი ისეთივე მონდომებით არ მოინანიებენ დღევანდელ საქციელს, როგორც ეს მანამდეც არაერთხელ გაუკეთებიათ? 2 წლის წინათ ამას თბილისის ტრაგიკული მოვლენები მოჰყვა, დღეს იგივე ტაქტიკა ფარსს წააგავს. ჭეშმარიტად თქმულა: ისტორია მეორდება, ოღონდ პირველად ტრაგედიის, მეორედ კი ფარსის სახით, მაგრამ აღარც მე და არც მოქალაქეთა დიდ ნაწილს, აღარა გვაქვს ფარსში მონაწილეობის არანაირი სურვილი.

ესეც რომ არ იყოს, საბჭოური ყოველდღიურობა განაპირობებდა დისიდენტობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ატრიბუტს, მაგრამ დღეს, როცა ყოფილი დისიდენტები აქტიურ და ლეგალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაებნენ, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს? შეიძლება ქვეყანა მართონ ძალებმა, რომლებიც საფუძველშივე ნებისმიერი ხელისუფლების წინააღმდეგი არიან? განა ამგვარი პოლიტიკოსი კამიკაძეს არ წააგავს? სად ნახავთ, საქართველოს გარდა, უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც საკუთარ ხელისუფლებას უმართავდეს მიტინგს?

ჩვენი პარლამენტი ზოგჯერ „პოლიტოლოგიის მოყვარულთა კლუბს" ემსგავსება, სადაც პოლიტიკური სიტუაციების მოდელირება ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხული სტატიების ფონზე ხდება ხოლმე? მოვლენათა წვდომის სიღრმეც შესაბამისია — საჟურნალო მიმომხილვის დონისა. და ამგვარი პოლიტიკური „განათლების" მქონე ერთ-ერთი პარტიის წევრი ჩემს შენიშვნაზე მიპასუხებს: „ჩვენი განცხადება პოლიტიკოსებს შევუთანხმეთ და არა ჟურნალისტებს!". თითქოს უპროფესიო პარლამენტარს ჰქონდეს პოლიტიკოსობის უფლება, ჟურნალისტ-პარლამენტარს კი — არა! თუმცა, ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ჟურნალისტის მიმართ როდია; ხშირად გაიგებთ, როგორ ამბობს ბოლო წლების მიტინგებზე გამოჩეკილი „პოლიტიკოსი" თავის კოლეგა პარლამენტარზე — „ეგ წავიდეს და კინო გადაიღოს", ან „წიგნი დაწეროს" და ა. შ. მაშ, ვიღა დარჩეს პარლამენტში, ვინც არც კინოს გადაღება იცის, არც წიგნის წერა და საერთოდ ყვირილის გარდა არაფრის კეთება?

პარლამენტის სხდომები სულ ახალი დაწყებული იყო, როცა ერთ-ერთი პარტიის წევრი დეპუტატის მუდმივი უზრდელობით შეწუხებულმა, მისი პარტიის ლიდერს კონფიდენციალურად ვუთხარი: ეტყობა, ამ ბიჭს სხვა არავინა ჰყავს მთქმელი და შენ მაინც დაარიგე, თორემ ამგვარი ქცევით მარტო საკუთარ თავს კი არა, მთელ თქვენს პარტიას არცხვენს-მეთქი. საოცარი პასუხი მივიღე, დააცადე, პატარაა, გაიზრდებაო! თქვე კაი ცოდო-მამიშვილებო, სამი წლით არის ეს პარლამენტი არჩეული და სად ვუცადოთ ზოგიერთი დეპუტატის „დაღვინებას". თუ გასაზრდელი იყო, საბავშვო ბაღში მიებარებინათ, მაინცდამაინც ქვეყნის ბედი უნდა გადააწყვეტინოთ?

ვაგებ თუ არა პასუხს მე, ცალკეული დეპუტატი, იმ აუტანელი სიტუაციისათვის, რომელიც მეთოდურად იქმნებოდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში? დიახ, მე ისე გამზარდეს, რომ არ შემიძლია უხამსობას უხამსობით ვუპასუხო, ტყუილი სიმართლედ გავასაღო, ვიყვირო, როცა არგუმენტები არ მყოფნის, შეურაცხყოფა მივაყენო იმას, ვისაც საღი გონებით ვერ ვებრძვი. დიახ, ეს ასეა და თუ ეს სისუსტედ მეთვლება, მაშინ მე არ მინდა, ძლიერი მერქვას. და მაინც, მე ვერ მოვიხსნი პასუხისმგებლობას იმისათვის, რასაც პარლამენტი დაემსგავსა.

ვაგებ თუ არა პასუხს მე, ცალკეული მოქალაქე, იმაზე, რაც ბოლო წლებში საქართველოში დატრიალდა? რა თქმა უნდა, პასუხს ვაგებ ყველა თქვენგანთან ერთად, რადგან ჩვენ არ შევუშალეთ ხელი პოლიტიკურ ავანტიურიზმს, რომელიც საქართველოში ჩვენს თვალწინ იკიდებდა ფეხს.

სად არიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც 1988-89 წლების მიტინგებზე გაიძახოდნენ, ოღონდ დამოუკიდებელი ვიყოთ და ბალახს მოვძოვთო? და ვინ ძოვს დღეს ბალახს, — ის პოლიტიკოსები, თუ ხალხი, ვისი სახელითაც ეწეოდნენ და ეწევიან სპეკულაციას ყველა დროისა და ყველა ქვეყნის პოლიტიკური ავანტიურისტები? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ პერმანენტულად მშიერი მოსახლეობის თვალწინ დღეს შიმშილობის გამოცხადება იმის აღიარებასაც ნიშნავს, რომ დღემდე მაძღრისად ჭამდი!

ეროვნული არმია არა გვყავსო, — ყველაზე მეტს ლაპარაკობს ის, ვინც 1988 წლიდან შიმშილობდა იმ მოთხოვნით, რომ არც ერთ ქართველ ახალგაზრდას არ უნდა გაევლო სამხედრო სამსახური „რუსის ჯარში". მაშინ სხვა ჯარი, როგორც ცნობილია, არ იყო. ამ მოთხოვნის მოტივი, ერთი შეხედვით, პატრიოტული იყო, შედეგი — დამღუპველი, რადგან 1988 წლიდან დღემდე წვევამდელის ასაკის არც ერთ ქართველ ახალგაზრდას წარმოდგენაც კი არ ჰქონია სამხედრო სამსახურზე. და ეს ახალგაზრდები მასობრივად წავიდნენ აფხაზეთის ომში. განა ცხადი არ იყო, რომ ეს უცოდინარი ბავშვები ომს ვერ მოიგებდნენ?

დანგრეული ქვეყნისათვის ყველაზე მეტს ჰგოდებს ის, ვინც 1989 წელს პიკეტებს აწყობდა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან მისი გაჩერების მოთხოვნით. შეკითხვაზე, რა ამოცანა ჰქონდა კომბინატის გაჩერებას, პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ ლახვარს ჩავცემთ რუსეთის ეკონომიკას"! ვინ არის დღეს ლახვარჩაცემული და ვის სთხოვენ პასუხს?

შეიძლება პოლიტიკოსობაზე პრეტენზია ჰქონდეს ისეთ პიროვნებას, რომელსაც ორიოდე საჭადრაკო სვლის გათვლა არ შეუძლია? შეიძლება, დღე და ღამ მოსკოვს აგინებდე და იმავე დროს მეთაურის გადადგომის მოტივად მოგყავდეს, მოსკოვს ხელს არ აძლევს შევარდნაძეო? შეიძლება ომს უცხადებდე რუსეთს, ოკუპანტს უწოდებდე, და თან სრული სერიოზულობით მოითხოვდე, დატოვოს რუსის ჯარმა საქართველოო? მამაცხონებულო, თუ იცი, რომ ოკუპანტია, სად გინახავს, მსოფლიო ისტორიის რომელ ეტაპზე, ოკუპანტს შეძახილით დაეტოვებინოს დაპყრობილი ქვეყანა? ან იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ბრიტანეთმა მშიერი და მოშიშვლე ინდუსების შიშით დატოვა ინდოეთი?

ამას წინათ ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა პარლამენტში დაიძახა: „უკრაინიდან შემოვიყვანთ ჯარებსო!" ჯერ ერთი, ვითომდა სულ ერთი არ იყოს, სხვისი ჯარი, საქართველოში რომ შემოიყვან, რუსის იქნება თუ უკრაინელის! მეორეც, ვინ დაპირდა, ნეტავ, ჯარის შემოყვანას, — კრავჩუკი თუ კუჩმა, თვითონაც რომ არ იცოდნენ ჯერ, რომელი გახდებოდა პრეზიდენტი და წინასაარჩევნო პროგრამაში ერთმანეთს რომ ასწრებდნენ რუსეთისადმი კეთილგანწყობის დემონსტრირებას?

თუმცა, ალბათ, არის ცხოვრებაში კიდევ რაღაც, პოლიტიკის გარდა, დღესაც მახსოვს იმ ავადმყოფი ბავშვის გვარი, რომლის მშობელმაც, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფმა, დახმარებისათვის მომმართა. ბავშვს მოსკოვში სამკურნალოდ 100 ათასი მანეთი სჭირდებოდა. ეროვნულმა ბანკმა, არაერთგზის თხოვნის მიუხედავად ეს თანხა ვერ მოიძია. ვერც მე დავეხმარე ვერაფრით. წლეულს კი ჩემი კოლეგა — ოპოზიციონერი დეპუტატი საქვეყნოდ აცხადებს, რომ არ ახსოვს შარშან როგორ მოაწერა ხელი 40-მილიარდიანი კრედიტის შუამდგომლობას. სულაც არ მაინტერესებს გატანილ ფულში ამ პარლამენტარის წვლილი, მაგრამ რა ნდობა უნდა მქონდეს იმ კაცისა, რომელიც მილიონობით რადიომსმენელის გასაგონად ცრუობს?

თომას მანი 30-იანი წლების დამდეგს წერდა: გერმანელ ერს ადრე თუ გვიან დაღუპავს ის, რომ ყველა გერმანელი ბიურგერი გულის სიღრმეში დარწმუნებულია, პოლიტიკა მხოლოდ ბინძური ხელებით კეთდებაო. გერმანელებს მწარედ აუხდათ დიდი მწერლის წინასწარმეტყველება. არადა, ჩვენს ოპოზიციურ წრეებშიც ბევრი ამავე აზრისაა. კიდევ ერთხელ ჩავატაროთ ექსპერიმენტი? მეორე დიდი მწერლის — შოლომ ალეიხემის გმირი — ტევიე-მერძევე ასე არიგებს შვილს: „მე გავიარე ამ ცხოვრების ანბანი ანიდან დონამდე. იქნებ არ ღირდეს ისევ ანიდან დაწყება და შენ დონიდან განაგრძოო..." იქნებ დადგა დრო, ქართველებმაც რაღაც ვისწავლოთ მსოფლიოს ისტორიიდან, კერძოდ, კი პოლიტიკური აზროვნების სკოლიდან და არ დავიწყოთ ყველაფერი ნულიდან, თითქოს ჩვენამდე არავის აეშენებინოს სახელმწიფო!

ნანა დევდარიანი,
საქართველოს პარლამენტის წევრი.

ეხო

მეტი სიფრთხილე გვმართებს!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

თქვენი გაზეთის 1994 წლის 11 ივნისის ნომერში დაიბეჭდა საზოგადოება „ჰერეთის" თავმჯდომარის მოადგილის ბატონ მიხეილ ყულოშვილის წერილი სათაურით: „ვის წისქვილზე უშვებს წყალს ნოვაია გაზეტა", სადაც ავტორი სამართლიან გულისწყრომასა და შეშფოთებას გამოთქვამს ა. წ. 9 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციის „ინგილოების ულტიმატუმი?!" გამო, რომელშიც ინგილოების მდგომარეობა ისეა გაშუქებული, რომ მან შესაძლოა ნეგატიური როლი შეასრულოს მეზობელი ორი ქვეყნის — საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობაში. აქვე წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ არანაკლები ბრალი მიუძღვის საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტს, რომელმაც ინგილოების ჯერ კიდევ შეუსწავლელი წერილი გადასცა რედაქციას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო: წლევანდელი მაისის დამდეგს კომიტეტმა მართლაც მიიღო ინგილოების წერილი (და არა ულტიმატუმი), რომელშიც ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებია აღწერილი. კომიტეტის ეროვნებების საქმეთა სამმართველოში მოსულმა, როგორც თავად განაცხადა „რუსეთში ქართველების ბედით დაინტერესებულმა" რუსეთის ახალი ამბებისა და ინფორმაციის სააგენტოს კორესპონდენტმა მიხეილ ვიგნანსკიმ მაგიდაზე შენიშნა რა იგი, ითხოვა მასზე თვალის ზერელე გადავლება და ისიც დასძინა, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველთა პრობლემა მისი ინტერესების სფეროს არ წარმოადგენდა, რაც, სამწუხაროდ, სწორი არ აღმოჩნდა. ორი დღის შემდეგ „ნოვაია გაზეტაში" საკმაოდ დაუფიქრებლად დამახინჯებული ტონალობით დაიბეჭდა ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გაუანალიზებელი მასალა. ასე რომ, კომიტეტს წერილი „ნოვაია გაზეტასათვის" არ გადაუცია და არც აღნიშნულის თაობაზე რუსეთის ახალი ამბებისა და ინფორმაციის სააგენტოს კორესპონდენტის სახელს ამოფარებულ მიხეილ ვიგნანსკისათვის „ნოვაია გაზეტაში" რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნების უფლება მიუცია.

აქვე დავძენ, რომ ბატონი მიხეილ ვიგნანსკი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წერილის გამოქვეყნებამდე კომიტეტს რომ დაკავშირებოდა, საკითხის გარკვევის შემდეგ მასზე და მის საქმიანობაზე ასეთი უარყოფითი შთაბეჭდილება არ შეგვექმნებოდა. თუმცა, ჩვენთვის ესეც გასათვალისწინებელია, ამის შემდეგ ჟურნალისტებთან (ყველას არ ეხება) ურთიერთობაში უფრო მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ. აქვე, ურიგო არ იქნება თუ ისინიც გაითვალისწინებენ, რომ ამგვარი პუბლიკაციების ბეჭდვით ეროვნებებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხელოვნურად დაძაბვისათვის ხელის შეწყობა სიკეთეს არავის მოუტანს.

პატივისცემით
თენგიზ შარმანაშვილი,
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სააქციო კომერციული ბანკი
„არაგვი ბიზნეს ბანკი"
აგრძელებს სავალუტო კრედიტების გაცემას შეღავათიან პროცენტებში.
კრედიტების გაცემა წარმოებს ყოველ დღე,
გარდა შაბათისა და კვირისა, 15-00 საათიდან 17-00 საათამდე.
ბანკის მისამართია:
ქ. თბილისი, ვ. ფშაველას ქრ. № 16
ტელ: 37-44-51, 93-25-94.

თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურის სახელმწიფო კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლის დღის დასწრებულის შემდეგ სპეციალობებზე:
ქორეოგრაფიულ — მუსიკალური განყოფილება: 1. საგუნდო-სადირიჟორო, ხალხური საკრავები.
თეატრალური განყოფილება: 1. სახალხო თეატრის რეჟისორი, რადიო რეჟისორი.
საბიბლიოთეკო, წიგნმცოდნე-კომერსანტი.
კოლეჯი ამზადებს კადრებს საგუნდო კოლექტივების, ხალხური საკრავების, ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფის, სახალხო თეატრის რეჟისორის და მსახიობის, ბიბლიოთეკარის და წიგნმცოდნე-კომერსანტის, რადიო-რეჟისორის (რადიო დრამის რეჟისორი, ხმის რეჟისორი, დამოუკიდებელი რადიოსტუდიის ფართო პროფილის სპეციალობებით).
კოლეჯში მიიღებიან ცხრა კლასის განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის აბიტურიენტები (გამონაკლისის შემთხვევაში გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტებიც).
კოლეჯში შესვლის მსურველებმა მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: 1. საგუნდო, თეატრალურ, ქორეოგრაფიულ და რადიორეჟისურის სპეციალობებზე: სპეციალობა, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), 2. საბიბლიოთეკო და წიგნმცოდნე-კომერსანტის სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
სპეციალობაში გამოცდაზე მოწმდება:
— საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობაზე — მუსიკალურ-ვოკალური მონაცემები, რითმის გრძნობა, მუსიკალური მეხსიერება;
— ქორეოგრაფიულ სპეციალობაზე — ფიზიკური მონაცემები, რითმის გრძნობა, მუსიკალობა;
— თეატრალურ სპეციალობაზე — ლექსის, იგავ-არაკის და პროზაული ნაწარმოების კითხვა, რეჟისორული აზროვნების უნარი;
— რადიო-რეჟისურის სპეციალობაზე — მუსიკალური მონაცემები, ლექსის, იგავ-არაკის და პროზაული ნაწარმოების კითხვა.
სწავლების ხანგრძლივობა სამი წელია, სწავლა უფასოა.
კოლეჯში შემსვლელებმა, კოლეჯის დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება და შემდეგი საბუთები:
განათლების ატესტატი (დედანი); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 086); 4 ცალი ფოტოსურათი (3X4 სმ), პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.
განცხადებები მიიღება 1994 წლის 15 აგვისტომდე. კონსულტაციები ყველა საგამოცდო საგანში ჩატარდება 5-10 აგვისტოს, მისაღები გამოცდები ჩატარდება 11 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.
კოლეჯში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კოლეჯის მიმღებ კომისიაში
ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე.
კოლეჯის მისამართია: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №88
(ყოფილი კალინინის, მეტრო „მარჯანიშვილთან").
ტელეფონები: 95-29-93, 95-26-47, 95-30-84.
მიმღები კომისია

საქართველოს რესპუბლიკის
სამრეწველო ბიზნესის ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის დღისა და საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:
I. ბიზნესის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი:
1. წარმოების ეკონომიკა და მენეჯმენტი;
2. ფინანსები და საგადასახადო სისტემა;
3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი;
4. სამარკეტინგო დაგეგმვა და ბუღალტრული აღრიცხვა;
5. კომერციული და საბირჟო სამსახურის ორგანიზაცია და მენეჯმენტი.
II. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი:
1. შეკერილი ნაწარმის ტექნოლოგია და კონსტრუირება;
2. ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის წარმოების ტექნოლოგია;
3. ტყავის წარმოების ტექნოლოგია;
4. ხორცისა და რძის წარმოების ტექნოლოგია;
5. ღვინის წარმოების ტექნოლოგია;
6. პურის, საკონდიტრო, მაკარონის ნაწარმისა და საკვები კონცენტრატების ტექნოლოგია;
7. საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგია.
III. გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი:
1. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული დაპროექტება (მოდელირება და არქიტექტურა);
2. დიზაინი;
3. სარეკლამო საშუალებები და რეკლამის ორგანიზაცია.
ინსტიტუტში სწავლა ფასიანია.
საბუთების მიღება ყოველდღე 1 ივლისიდან, 10-დან 16 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა.
განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086);
3. ოთხი ფოტოსურათი (3X4);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, თორნიკე ერისთავის, 2 (ყოფილი მაგნიტოგორსკის), მეტრო „დიდუბის" ზედა ამოსასვლელი.
ჩარხმშენებელი ქარხნის პირდაპირ.
ტელ: 66-78-47, 68-46-04, 66-86-29.

რეკლამები დამზადებულია ფირმა „დრონის" კომპიუტერულ ცენტრში.
ტელ: 93-15-00

თბილისის
საბუნებისმეტყველო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი
„ზეკარი"
აგრძელებს საბუთების მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. რელიგიების ისტორია;
3. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;
4. ინგლისური ენა და კულტურა;
5. გერმანული ენა და კულტურა.
საბუთების მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა).
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №178,
პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტი.
დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ
34-31-79, 34-16-25, 34-11-34.

XEROX
The Document Company
ოფიციალური წარმომადგენელი
გთავაზობთ: ასლგადამღებ აპარატებს, ფაქსებს, ლაზერულ პრინტერებს, საბეჭდ მანქანებს, საკანცელარიო საქონელს
-უფასო დამონტაჟებასა და სწავლებას
-საგარანტიო მომსახურებას
-საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ინჟინრების მიერ მაღალი ხარისხის სასერვისო მომსახურებას
-სახარჯი მასალით და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას
ტელ: 98-36-31
98-94-78
ფაქსი: 98-96-58

გა ნეს

საქართველოს [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა [illegible] ტოვებს ჩვენი [illegible] და კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

ამ დღეებში აქ გაიმართა ქართველი კინოვარსკვლავი ქალის, სახალხო არტისტის ნატო ვაჩნაძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ აკაკი ძიძიგურმა.

საღამოს უძღვებოდა მსახიობი ზინაიდა კვერენჩხილაძე. ნატო ვაჩნაძე გაიხსენეს რეზო ჩხეიძემ, ნიკოლოზ სანიშვილმა, ვახტანგ ტაბლიაშვილმა, გოგი დოლიძემ, დოდო ჭიჭინაძემ. ბიბლიოთეკის განყოფილების გამგემ ფ. კვაჭანტირაძემ ისაუბრა ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას პირადი არქივის შესახებ, რომელიც დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

საღამოს ესწრებოდნენ ნატოს ვაჟები თენგიზ ვაჩნაძე და გიორგი შენგელაია.

გამოფენაზე, რომელიც ვესტიბიულში იყო გამართული, ნატო ვაჩნაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა იყო ასახული.

ენძელა ბერიკაშვილი,
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი.

ინფორმაცია

პრემიერა

„წითელქუდა" კვლავ გვეწვია

უკანასკნელად გორის სახელმწიფო თეატრში საბავშვო სპექტაკლი რომ გაიმართა, მისი ნორჩი მაყურებლები დღეს მოწიფული ვაჟკაცები და ქალიშვილები არიან. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა წარმატება ჰქონდა შარლ პეროს უკვდავ „წითელქუდას", რომლის დადგმაც თეატრმა ამ დღეებში განახორციელა.

წარმოდგენა ბავშვების ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. არც მსახიობთა დასმა დაიშურა ძალ-ღონე, ფანტაზია და გამომგონებლობა, რომ „წითელქუდასათვის" ახალი სიცოცხლე შთაებერა.

სპექტაკლში როლები განასახიერეს მსახიობებმა ნათია აწკარუნაშვილმა, ხათუნა ბასიშვილმა, გია მაყაშვილმა, ნარგიზა სალუქაშვილმა და სხვებმა.

პიესა დადგა რეჟისორმა ანზორ გვაძაბიამ, მხატვარია ვანო არჩვაძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით ინეზა ლომოურსა და გიორგი ხაძაგლიშვილს.

ზურაბ ვაშაკიძე,
„ხრ." საკ. კორ.

დააკავეს „აჩის" ვიცე-პრეზიდენტი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 24 ივლისს, 08 საათზე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული მონაცემების საფუძველზე, ონის რაიონის სოფელ გომში დააკავეს თბილისის სავაჭრო-სამრეწველო კომპანია „აჩის" ვიცე-პრეზიდენტი გიორგი დვალიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველო აგრძელებს ოპერატიულ ღონისძიებებს სხვა პირთა დაკავებისა და გარემოებათა გარკვევა-დადგენის მიზნით.

საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

ორ წელიწადს ეძებდნენ

1992 წლის 8 ნოემბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ამავე სოფელში მცხოვრებმა ბახვა კვირიკაშვილმა გადაჭრილი თოფით სიცოცხლეს გამოასალმა მამა-შვილი ბეგლარ და ბადრი ღონღაძეები, ხოლო ხუთი საათის შემდეგ, მანვე, ქალაქ თბილისში, ყოფილი სიდედრი თამარ ბედოევა მოკლა და მიიმალა.

ორ წელიწადს ეძებდნენ სამი ადამიანის მკვლელს, ხარაგაულის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები და, აი, პირველ ივლისს, იგი დააკავეს ზესტაფონის რაიონის დაბა შორაპანში.

ჰენრი შარიქაძე.

გამოცდები, გამოცდები...

ღირსეული გახდება სტუდენტი



რესპუბლიკის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო მისაღები გამოცდები. ჩვენი ქვეყანა ამჟამად მრავალი პრობლემის წინაშე დგას და მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კადრების პრობლემა, აქედან გამომდინარე, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წლევანდელ მისაღებ გამოცდებს. მხოლოდ ობიექტურად, კეთილმოსურნედ, აბიტურიენტთა და მათ გამომცდელთა მთელი პასუხისმგებლობით უნდა დაგვირგვინდეს ეს კამპანია. მხოლოდ ღირსეული უნდა გახდეს სტუდენტი, მხოლოდ ღირსეულთ უნდა მიენდოთ მომავალი საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძლიერების შენების შესაძლებლობა.

ეს სურათი გადაღებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტში. მიმდინარეობს წერითი გამოცდა-გასაუბრება მათემატიკაში.

ჯავარ ლომაძის ტექსტი და ფოტო.

ხომ დიდებული სიტყვაა ჭირნახული — ეს სიტყვა გამოაგონებინა ქართველ მიწათმოქმედს წლიდან წლამდე ჭაპანწყვეტითა და სიმღერით მოწეულმა მოსავალმა — შემოქმედსაც იგივე ეთქმის. საქართველოსთვის უმძიმესი ბოლო სამი წლის მანძილზე ბატონ გრიგოლ აბაშიძის მიერ შექმნილმა და დროდადრო ჩვენს პრესაში გამოქვეყნებულმა ლირიკულმა ჭირნახულმა ერთ პატარა წიგნში მოიყარა თავი და მას 80 წლის ზღურბლზე მდგარმა პოეტმა „არყოფნისაკენ" უწოდა!

ბატონ მურმან ლებანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოსცა ეს საიუბილეო ნობათი „მერანმა", რომლის გვირგვინადაც მურმან ლებანიძეს სამართლიანად მიაჩნია ლექსი „არყოფნისაკენ". „მძლავრი, ამაღელვებელი ორატორია კაცობრიობის მარადიულ საფიქრალზე, სიკვდილსა და ხორცის მტვრადქცევაზე, იმქვეყნიური არსებობის ეჭვსა და სასოებაზე, თქვენ წარმოიდგინეთ, სულისა და ხორცის სამყაროში განზავებისათვის სტოიკურ მზადყოფნაზე". — ასე წერს პოეტის შესახებ პოეტი, ამ ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსით აღფრთოვანებული წერილში „შედევრი 80 წლის ასაკში!" წინათქმად რომ უძღვის კრებულს.

სულ 34 ლექსია ამ კოხტა პატარა წიგნში, მაგრამ რაოდენ ღრმა, რაოდენ ტკივილიანია ყოველი მათგანი. ეს გახლავთ ერის სატკივრით გასენილი პოეტის გულისთქმაც, მისი ფიქრებიც წუთისოფელზე, აწმყოსა და მომავალზე.

„მზის ამოსვლას ჰგავს მისი მოსვლა და
მას ყველაფერი ეპატიება!"

ასე მთავრდება ოდა თავისუფლებისადმი, რომელიც სიმწრით მოვიპოვეთ და რომელიც პოეტს ზღაპრული მშვენებით აღსავსე ასულის სახით წარმოუდგენია.

აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო საქართველომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში, აუწონავია 90-იანი წლების — ანუ ბორკილების მსხვრევისა და საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში — სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთის მხარეში დაცემულთა რაოდენობა — განახევრდა ის ლაშქარი, ერის მომავლად რომ გვეგულებოდა; ამიტომ, ეუფლება პოეტს დროდადრო ამაოების მარადიული შიში — ამ ორსტროფიანი უსათაურო ლექსიდან სტრიქონის „ამოგლეჯა" შეუძლებელია:

— ამ სოფლის წესი ეს იყო ალბათ,
ვინც ამაშენა, მანვე დამშალა!
მიტომ მასმევდა წვეთ-წვეთად შარბათს,
რომ ბოლოს მესვა მხოლოდ სამსალა.
და ეს მავიწყებს ყველა სატკივარს,
გულს ჩამრჩა დარდის ერთი ნესტარი —
მეც სამარეში ისე ჩავდივარ,
სამშობლოს ხაშველს ვერ მოვესწარი!..."

დიახ, იმჟამად 80 წლის მოწეულ მგოსანს რომ ლაზარესავით კვლავ აღდგება ჩვენი დაფლეთილი სამშობლო, ეს იმედიც რომ არა, მართლაც რა დააძინებს... მაგრამ ვაი რომ, ამ ძილშიც ჩაგვესმის ტანჯულ თვისტომთა, კერამოშლილ, გოლგოთის გზაზე მავალ ადამიანთა კვნესა...

...ხმას იმაღლებს გრიგოლ აბაშიძე ყოველივე უსამართლობისა და უმსგავსობის, სიხარბისა და უგნურობის მიმართ, ხმას იმაღლებს ნახანძრალი თბილისითა და გადამწვარი სოფლებით გულმოკლული შემოქმედი. სეპარატისტებად წოდებულ გამთიშველებს, შინაურ თუ გარეულ მტერს ეხება ეს სიტყვები:

„შემოგვახიეთ ყველა მზაკვარი,
სისხლის წყურვილით მხეცი აღანთეთ...
იწვის ქართველი ბავშვის აკვანი,
და ჩვილის სისხლი ღმერთს შეჰღაღადებს!"

მხცოვანი მგოსანი ფარ-აბჯარს ვერ აისხამს, მაგრამ მისი იარაღი კალამია და რომ ეს კალამი ძველებურად მჭრელი და ლაღია, ახალ კრებულში დაბეჭდილი ყოველი ლექსით ვრწმუნდებით.

...ზის სამახვშო სავარძელში დარდგამრავლებული მგოსანი და ვინ იცის, მერამდენედ, ფურცლავს ბიბლიას. და აი წინათგრძნობა ლექსად გარდათქმული 137-ე ფსალმუნის შთაგონებით.

„...ცხოვრება ჩვენი ნუთუ ამით უნდა დამთავრდეს, რომ საგოდებლად ენისეის პირად ჩამომხდართ ღამემ მოგვისწროს — უსასრულოდ ხანგრძლივმა ღამემ"...

აი, რა კოშმარული სურათი წარმოუდგა და სად გადაიხვეწა წინათგრძნობა მგოსნისა ქართლის გულიდან...

ყოველ სტრიქონში ისმის გოდება, ყოველი ლექსი მოთქმაა ჭირისუფლისა.

„...და თუ დამპყრობელს
ვერ შევაკვდი, ჩემს ჩანგს კი არა,
ჩემს ტანჯულ სხეულს,
ჩამოვკიდებ იმ ძეწნის ტოტზე,
გაჩანაგებულ სულის კარნახით!"

შარშანდელია ეს ლექსი, მაგრამ არც წლევანდელებს აკლია ვულკანური ძალა და მამულიშვილური გულისძგერა.

...აკაკის საყვარელი ამ სიტყვით მინდა დავამთავრო ჩემი სათქმელი პოეტის მიერ ბოლო წლებში მოწეულ ჭირნახულზე — მის ცრემლიან, მაგრამ ვაჟკაცურ ლექსებზე.

ახალი წიგნი

მწერლის ჭირნახული

გრიგოლ აბაშიძე
არყოფნისაკენ



და მაინც, ადამიანი რაკი იმედით ცოცხლობს, პოეტიც ხომ მარტოოდენ ღმერთის მოციქული არ არის — ისიც ადამიანია და თუმცაღა შეძრულია არა მხოლოდ მტრისა და ხიზნის, არამედ შვილთა ჩვენთავე მტრობით, სამშობლოს ნგრევაში რომ უდევთ წილი, ამასაც იტყვის:

„არა, შენ წელში ისევ სწორდები,
რომ კვლავ წამოდგე ბუკით, ნაღარით,
ისევ იწვევენ მზისკენ ყლორტები,
შენს ძველ ფესვებზე უხვად ნაყარი".

ნანა ღვინეფაძე.

ჩვენი მწარე სინამდვილე

სიონში შევალ, სანთელს ავანთებ...(?!)

სატირალ-იუმორისტული დღიურიდან

მიწიერ „უზენაესთა" უზნეობით იმედგამოძარცვული, ტაძრისკენ მიმავალ გზას ერთი სათხოვარ-სავედრებლით დავადექი.

— ღმერთო, შენ მაინც გაგვიმაგრე გულიც, კუპონიც და ჩემსიგრძე სანთელს აგინთებ! (კალათბურთელმა მანუტე ბოლმა იკითხოს, თორემ ჩემსიგრძე სანთლის შოვნა რა პრობლემაა-მეთქი, ვიფიქრე).

სიონამდე ავტობუსით მივედი. ხალვათად მგზავრობა, რაც დასვენების დღის დამსახურებად მივიჩნიე, ნეტარება ყოფილა!

ზიხარ შენთვის. არც ვიღაცის ნაპატივები ფაშვი გეხახუნება, არც ძეძვივით გაბარჯღული თმებით „გაბალახებს" საფეხურზე ჩამოკიდებული ქალიშვილი, არც უსაპნობით გაზინზღლული მაისურებისა და პერანგების „სურნელება" გირევს გულმუცელს. ერთი სიტყვით, ზიხარ მშვიდად და ფიქრობ დიდასამშობლოზე, რომელიც დღეს მსოფლიოს მერვე საოცრებად ქცეულა (აბა, სხვა რომელი ქვეყნის პარლამენტარები ცხოვრობენ უხელფასოდ?!).

როცა ჟურნალისტთა ფედერაციის წევრობის ანუ უფასოდ მგზავრობის დამადასტურებელი საბუთი პარლამენტიორის დროშასავით ავაფრიალე და მძღოლმა შემომღრინა, მაშინღა გამახსენდა, კომუნიზმის კარიბჭესთან მისული კაპიტალიზმისკენ ნებაყოფლობით რომ შევბრუნდი. მაცდუნებლებმა კაპიტალი თავისთვის დაიტოვეს, გაბრიყვებულებს კი რაღაც „იზმი" გადმოგვიგდეს. ამას მოწმობს მათხოვრების ესკორტიც, ტაძრისკენ რომ მიმაცილებს. ბევრი მათგანის კისერზე ჩამოკონწიალებულმა განცხადებამ — „მჭირდება რუსული მანეთები" — მაიძულა კუპონისგან შეკოწიწებული ჩემი მწირი ბიუჯეტი შერჩევით გამენაწილებინა.

დიახ, მათხოვრებს კი არ სჭირდებათ კუპონი, კუპონს სჭირდება მათხოვრები. ალბათ სურსათის გაძვირების ერთ-ერთმა აქტიურმა მომხრემ საჯაროდ ამიტომაც განაცხადა: მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის კუპონი შემოსავლის წყარო არ არისო.

რაკი უმცირესობა ანგარიშში ჩასათვლელი არ ყოფილა, მაშინ ამის მთქმელს იმდენი კოპი დააჯდეს თავზე, რამდენი ქართველიც კუპონთან ერთად სულს ღაფავს...

საკმევლის სურნელმა, გალობამ, მლოცველთა მოწიწებამ და თვალებში ჩამდგარმა სათნოებამ წუთით დამავიწყა ყბადაღებული, ყველასგან დამცირებულ-შეურაცხყოფილი, განადგურებულ-გაცამტვერებული კუპონი.

უეცრად მაგიდაზე გასაყიდად დაწყობილ სანთლებს დავხედე და პირკატა მეცა. თითის სიგრძე სანთელი 10 ათას კუპონად, ხოლო უფრო მოზრდილები რუსულ მანეთებად იყო შეფასებული.

ესეც თქვენი საბაზრო ეკონომიკა, ტაძრისკენ მიმავალ გზასაც კი გვიკეტავს!

ამდენი მთავრობაგამოცვლილი ქალისაგან დაპირების შეუსრულებლობა ღმერთს მაინცდამაინც კი არ გაუკვირდება, მაგრამ საკუთარი თავისაგან გამიკვირდა თუთიყუშივით მიმბაძველობა, — ვიდრე დავაყრანტალებდი, ჩემი შესაძლებლობები მანამდე რომ არ დავაზუსტე.

თავი იმით ვინუგეშე, თუ „ზემოურებს" კვირაში „ცხრა პარასკევი" აქვთ — დაპირებებს წარამარა ცვლიან და ღმერთი მაინც არ სჯის, რა მოხდება, „ქვემოურებმა" თხოვნა ერთხელ მაინც შევცვალოთ-მეთქი, და კრძალვით შევბედე:

— ღმერთო, თუ გინდა ჩემ სიგრძე სანთელი აგინთო, კუპონის გამაგრებაზე ნულარ შეწუხდები და უმცირესობასაც რუსული მანეთები გაშოვნინე-მეთქი. პირჯვარი გადავიწერე და იმედით გულგალიცლიცებული ტაძრიდან გამოვედი...

ლეილა კოშკაძე.

მართლმსაჯულება

„გიგას მოწმე" საზოგადოება და თაიგულიანი ტერორიზმი

რეპორტაჟი „დოკვაძე-გელბახიანი-დომუხოვსკის" სასამართლო პროცესიდან

ზემო იმერეთში, საწერეთლოში მიწის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული დავები ხშირად ირჩეოდა თურმე სასამართლოში. ზოგიერთი საქმის განხილვა განგებ წლობით ჭიანურდებოდა. ამას ხელს უწყობდა ერთი აზნაური, სახელად გიგა, მას ეხმარებოდა ცრუ მოწმე. მიწის ნამდვილი პატრონი კი იძულებული იყო გიგასა და მისი მოწმისათვის „პატივი ეცა", რომ მათ სასამართლოდან საჩივარი გამოეტანათ, სხვაგვარად მიწის ყიდვა-გაყიდვა ვერ გაფორმდებოდა. ამის გამო ცრუ მოწმე ხალხმა აითვალწუნა, საკუთარი სახელი დაუკარგა და „გიგას მოწმე" შეარქვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სასამართლო პროცესების ისტორია — ეს სახელმწიფოს, საზოგადოების, მთელი ეპოქის ისტორიაა. სწორედ სასამართლოშია კონცენტრირებული მთელი სპექტრი სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმებისა, სახელმწიფოებრივი თუ კერძო ინტერესებისა, უფრო მეტიც, სასამართლო პროცესების ისტორიაში თამამად შეგიძლია ამოიკითხო ამა თუ იმ ქვეყნის მაჯისცემა, მისი ხალხის სულიერი მოთხოვნილებების საწყისიცა და საზომიც.

1992 წლის 13 ივნისს ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარმა ტრაგედიამ უკიდურესად აღაშფოთა საზოგადოება. ხუთი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა უკეთურთა მიერ ჩადენილმა საზარელმა დანაშაულმა. უეცრად აჰყელდა პრესა, ტელევიზია. ახმაურდნენ პოლიტიკური წრეებიც. შემდეგ — გამოძიება, საბრალდებო დასკვნა. 34-ტომიანი სისხლის სამართლის საქმე აიკინძა და რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა. აი, აქ, კი აღარ ჩანს ჩვენი საზოგადოება. ისე გაირინდა, თითქოს კამერტონის ჟღერადობას უგდო ყური, ყველას ერთად დაგვავიწყდა შარშან ოქტომბერში დაწყებული „დომუხოვსკი-გელბახიანის" გახმაურებული საქმის განხილვა, ასე უსაშველოდ რომ ჭიანურდება დღემდე.

ისე გაირინდა საზოგადოება, უნებურად „გიგას მოწმის" სინდრომი გამახსენდა.

უზენაეს სასამართლოში „დომუხოვსკი-გელბახიანის" სისხლის სამართლის საქმე შარშან 27 აგვისტოს შემოვიდა. მისი განხილვა 5 ოქტომბრისათვის დაინიშნა. 19 განსასჯელი, 31 დაზარალებული, 2 სამოქალაქო მოსარჩელე, 181 მოწმე და 34-ტომიანი საქმე... 5 ოქტომბერს სხდომა გაიხსნა, მაგრამ არ გაგრძელებულა — რამდენიმე განსასჯელს მიეცა დრო საბრალდებო დასკვნის გასაცნობად. შემდეგ დაიწყო საქმის მასალების გაცნობის გაუთავებელი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო კოლეგიამ ყოველივე ეს წინასწარ გაითვალისწინა და ჯერ კიდევ სექტემბერში წარუდგინა საბრალდებო დასკვნის ასლები ჩასაბარებლად და საქმის მასალები გასაცნობად განსასჯელებს, მათ არ ინდომეს, ღია სასამართლო პროცესს ხავსმოკიდებული ლოზუნგები და საჯარო სხდომის პოლიტიკურ მიტინგად გადაქცევის ცდა ამჯობინეს. დრო კი გადიოდა, გონისწამლები ემოცია და წივილ-კივილი დარბაზში მატულობდა. ხელთა მაქვს ზუსტი მონაცემები, თუ როდის, რომელ დღეს, რა მიზეზით გადაიდო სხდომა. ამ ციფრების გამომზეურება არ არის საჭირო, უბრალოდ დამღლელია და, შესაძლოა, თვით ყველაზე გამოცდილმა იურისტმაც კი ადვილად ვერ გაუგოს ასავალ-დასავალი; თუმცა, ზოგიერთი მიზეზი მაინც უნდა მოგახსენოთ:

საბრალდებო დასკვნის ასლებისა და საქმის მასალების გაცნობა;

ხან ადვოკატთა, ხან კი განსასჯელთა ავადმყოფობა;

ზოგიერთი ადვოკატის შეცვლა და ახალი ადვოკატისათვის საქმის გასაცნობად აუცილებელი დროის გამოყოფა;

მსჯულის ოჯახური მდგომარეობა;

ადვოკატთა გამოუცხადებლობა;

განსასჯელთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეები.

რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო. პირდაპირ უნდა ითქვას, ობიექტური და სხვა მიზეზებით საქმის განხილვა სულ 6 თვისა და 3 დღის მანძილზე ჭიანურდებოდა, პროცესის დაწყებიდან კი გასული იყო 7 თვე; ესე იგი, ფაქტობრივად, სასამართლო კოლეგია საქმეს იხილავდა ერთი კალენდარული თვისა და 5 დღის მანძილზე.

და კიდევ, განსასჯელები ხან იატაკზე გაწვებოდნენ, ხან ზ. გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ განცხადებებს კითხულობდნენ სხდომის დარბაზში, ხანაც უსტვენდნენ და მოსამართლეებისაკენ ზურგშექცევით დგებოდნენ; ხან დარბაზში მყოფ თანამოაზრე აუდიტორიას (!) ამხნევებდნენ „კანონიერებისათვის ყვავილებითა და საკეთით" აგერ უკვე კარს მომდგარი ბრძოლის იმედიანი შეძახილებით; უახლოეს დღეებში გამარჯვების სიხარულით დათრობასაც ჰპირდებოდნენ.

„ჩვენ არ მოგცემთ პროცესის წარმართვის საშუალებას, ამას დემონსტრაციულად ვაცხადებთ!" — ასე დაიმუქრა სხდომაზე ერთი განსასჯელი და ამით თავისი მეგობრების სათქმელიც თქვა. კოლეგიის თავმჯდომარის უამრავმა გაფრთხილებამ, მოწოდებამ წესრიგის დაცვისაკენ, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი ვერ გამოიღო. სასამართლო იძულებული გახდა სხვადასხვა სხდომებზე უკლებლივ ყველა განსასჯელი გაეძევებინა დარბაზიდან და პროცესი ისე გაეგრძელებინა. თუმცა, ამანაც ვერ უშველა საქმეს: რამდენიმე განსასჯელმა მოითხოვა ადვოკატების გათავისუფლება მათი დაცვის მოვალეობისაგან. მიზანი? სრულიად მარტივი — თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს ასეთ შუამდგომლობას, კვლავ ჩვენ უფლებებს ლახავო, ატეხენ ერთ ამბავს, და თუკი დააკმაყოფილებს, მაშინ კიდევ უფრო დიდი აჟიოტაჟი ატყდება — არიქა, რეალური დაცვის უფლება წაგვართვესო. ასე რომ, ორივე შემთხვევაში მიზანს მიაღწევენ — პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურდება. მაგრამ უფრო საინტერესო კულისებს მიღმა ხდება: აღმოჩნდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თანამშრომლები დაინტერესდნენ პატიმართა მდგომარეობით, მოინახულეს ისინი საგამოძიებო იზოლატორში, შემდეგ იშუამდგომლეს კიდეც განსასჯელთა პროცესზე დასაბრუნებლად. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა თვით სხდომის დარბაზში იშვიათად ნახავთ ამ კომიტეტის თანამშრომელს. მაგრამ შეიძლება ვერც კი ნახო სხვა უწყების ფუნქციონერი, სხვადასხვა დონის ღონისძიებებზე ქედმაღლურად რომ დაინტერესდება პროცესის მსვლელობით. რას იზამ, — ძალიან არ მინდოდა სათაურში სიტყვები „გიგას მოწმე საზოგადოება" გამომეტანა... სასამართლო დარბაზში კი ბელადის გარდაცვალების შესახებ ცნობას დამსწრენი ადვოკატებთან ერთად ფეხზე მდგომი უსმენდნენ.

როცა საშინელი დანაშაული მოხდა, დიდი და პატარა აღშფოთდა, ხოლო როცა დამნაშავეთა ვინაობის საკითხი სასამართლოში გადასაწყვეტი შეიქნა, აღარავინ დაინტერესებულა საქმის ბედით. მხოლოდ ორ თვეში ერთხელ გაზეთით თუ შეიტყობდნენ ამ პროცესის თაობაზე. სიმართლე უნდა ითქვას, არც ჟურნალისტებს გამოუჩენიათ დიდი ინტერესი ამ საქმისადმი, მხოლოდ რამდენიმე პუბლიკაცია თუ გამოქვეყნდებოდა პერიოდულად, ეს იყო და ეს; უფრო მეტიც, ზოგიერთმა გაზეთმა თითქმის ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეუმოწმებელი და არაობიექტური ინფორმაციით მოსამართლეთა ავტორიტეტი შეელახა.

1994 წლის 6 აპრილის სხდომაზე ყველა განსასჯელის დაბრუნების განჩინება გამოიტანეს. სასამართლომ წინასწარ მიიღო მათი წერილობითი პირობა იმის შესახებ, რომ სხდომაზე წესრიგს დაიცავენ. კოლეგიამ მხოლოდ ხახვიაშვილი არ დააბრუნა, რადგან მან ოფიციალურად განაცხადა: „სასამართლო პროცესზე დაბრუნების შემთხვევაში წესრიგს არ დავიცავ და სასამართლო კოლეგიას ნორმალური მუშაობის საშუალებას არ მივცემ". ესეც ერთგვარი ხრიკია სასამართლოს დისკრედიტაციისათვის მოგონილი. ჯერ ათასნაირი ხრიკით უნდა ეცადო პროცესის გაჭიანურებას, რათა წინასწარი პატიმრობის ვადა ხელოვნურად გაგრძელდეს, შემდეგ კი, პროცესიდან უსაქციელობისთვის გაძევებულმა, ათას ინსტანციას მიმართო, ჩემს საქმეს ჩემს დაუსწრებლად იხილავს მოსამართლეო.

საერთოდ, ცივილიზებულ საზოგადოებაში მოქალაქე, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, ცდილობს, რომ მისი ბრალეულობის საკითხი რაც შეიძლება მალე გადაწყვიტოს სასამართლომ. ეს ხდება იმიტომ, რომ სწორედ სასამართლოა ის ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული ასეთი საკითხის გადაწყვეტის უფლება. თითქმის უკლებლივ ყველა საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტში, ასე ხშირად რომ უყვართ განსასჯელებს მათი მომარჯვება, აღიარებულია მოქალაქის ეგრეთ წოდებული „სწრაფი მართლმსაჯულების" უფლება. ჩვენში კი პირიქით ხდება — განსასჯელები ყველა ხერხს მიმართავენ, საქვეყნო სასამართლო სხდომას რომ გაექცნენ. უფრო მეტიც, ალბათ, არსად გაგონილა, ზოგიერთ ადვოკატს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება მხოლოდ ერთი გზით შეეძლოს. ეს არის პროცესის გაჭიანურების გზა. თუკი საქმეს არსებითად ვერ განიხილავს, თუკი პროცესი უსაშველოდ გაჭიანურდება, ეს ნიშნავს, რომ დამცველმა თავისი საქმე გააკეთა. სიმართლეს კი თავი აარიდა. ყველა დამეთანხმება, რომ ეს არ არის ადვოკატობა.

ეს „დომუხოვსკი-გელბახიანის" პროცესმაც დაადასტურა. განსასჯელთა გაძევების შემდეგ შესაძლებელი გახდა საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნება. სწორედ ამ პერიოდიდან გააქტიურდნენ ადვოკატები. მათი გააქტიურება განსასჯელთა ინტერესების დაცვას როდი გულისხმობდა.

მაგალითად, ვ. დომუხოვსკისა და ზ. წიკლაურის ადვოკატი ნიჟარაძე სისტემატურად არ ცხადდება პროცესზე, ითხოვს ზ. წიკლაურის დაცვის მოვალეობისაგან გათავისუფლებას, საბოლოოდ კი საჯაროდ იფიცებს „გამსახურდიას ნათელ სულს", რომ არ დაიცავს წიკლაურის ინტერესებს" და დემონსტრაციულად ტოვებს პროცესს! ამას ისიც დაემატა, რომ პროცესს გამოეთიშა ადვოკატი ფილაური (პათოლოგიური ორსულობის საბაბით); განუწყვეტლივ მოითხოვს საქმიდან ჩამოცილებას რამდენიმე ადვოკატი. ყველა მათგანმა იცის, რომ დაცვის გარეშე პროცესი არ შედგება, რაც, რა თქმა უნდა, განსასჯელებს ესოდენ სურთ. კვლავ გამოჩნდა პროცესზე ნიჟარაძე, კვლავ მოითხოვა კოლეგიის თავმჯდომარის აცილება, თავად კი აგვიანებს ან აცდენს სხდომას, კვლავ ითხოვს წიკლაურის დაცვის მოვალეობისაგან მის გათავისუფლებას. სასამართლომ რამდენჯერმე მიმართა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს. ბოლოს და ბოლოს კოლეგის სიურპრიზები მოსწყინდა პრეზიდიუმს და ნიჟარაძე გარიცხა ადვოკატთა რიგებიდან. ეს ამბავი თითქოს უნდა გახარებოდა ზ. წიკლაურსა და ვ. დომუხოვსკის, რომელნიც დაჟინებით აცხადებდნენ, მოგვაშორეთ ეს კაცი, ჩვენ და ნიჟარაძე ერთმანეთს ვეღარ ვუგებთო. მაგრამ არა, ამჯერად მათი რეაქცია სრულიად საწინააღმდეგო იყო.

15 ივნისის სხდომაზე ნიჟარაძის გარიცხვის თაობაზე კვლავ ატყდა ალიაქოთი. ადვოკატის ახალი კანდიდატურა განსასჯელებს არ წარმოუდგენიათ. სასამართლომ დომუხოვსკის და წიკლაურს დაუნიშნა სხვა ადვოკატები — ჯლამაძე და ჰეჟაური. მათაც ხომ სჭირდებოდათ დრო საქმის მასალების გასაცნობად — იმავე დღეს პროცესზე შესვენება გამოაცხადეს 29 ივლისამდე.

ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა, ამ საქმის ირგვლივ რომ ვესაუბრებოდით, მითხრა, ყოველ შემთხვევაში, საშინელი დასასრულიც ხომ სჯობს დაუსრულებელ საშინელებას. [illegible] მისი სიტყვები.

დიახ, ეს პროცესი დაუსრულებელი საშინელებით დააჩნდება ჩვენი საზოგადოების სხეულს, თუკი არ გავითვალისწინებთ გუშინდელი მონაკისფერი სინდრომის საფრთხეს. უნდა გავითვალისწინოთ, რადგან „გიგას მოწმეობამ" და „თაიგულებით ბრძოლამ" თანაბრად დაასახიჩრა ეროვნული სული, ბლაგვი ნაჯახით აკუწა ერის ძარღვი.

ნუ დაველოდებით საშინელ დასასრულს.

საბა სულხანიშვილი.

თბილისის კლინიკური მედიცინის ინსტიტუტი
აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას
1994-1995 სასწავლო წლისათვის
სამკურნალო ფაკულტეტზე

ინსტიტუტი ფუნქციონირებს აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, თბილისის №5 სამშობიარო სახლის, №4 კლინიკური საავადმყოფოს და №2 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის ბაზებზე.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები, მათ შორის არაქართული სკოლის კურსდამთავრებულები.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა); 2. ბიოლოგია (ტესტი); 3. ქიმიაში (ტესტი).

აბიტურიენტები ინსტიტუტის რექტორის სახელზე განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ:

1. საშუალო სკოლის დამთავრების დოკუმენტს (დედანი), საშუალო სპეციალური განათლების ან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომს; 2. ჯანმრთელობის ცნობას (ფორმა 086); 3. ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან; 4. ოთხი ფოტოსურათი ზომით 3X4; პასპორტს (წარმოადგენენ პირადად).

მისაღები გამოცდები მოეწყობა 20-დან 24 აგვისტომდე კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა), 20 ივლისიდან 18 აგვისტომდე 10-დან 16 საათამდე.

ინსტიტუტი დაინტერესებული აბიტურიენტებისათვის ღია კარის დღეს აწყობს 30 ივლისს 12 საათზე ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 13 აგვისტოს 15 საათზე კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

მისამართი: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქუჩა №2, ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.
ტელ: 61-39-37.

იყიდება

1. პორტვეინი "ოკრიბა"
უმაღლესი ხარისხის 0,5 ლ.
ბოთლებში 40 000 ცალი 1 ც.
ფასი 500 მან.

2. ჩამოსასხმელი მზესუმზირის ზეთი
(კრასნოდარის)
1 ლ. – 1600 მან.

3. ჩამოსასხმელი ბულგარული ლუდი
SHUMENSKO
200 ლიტრიან რკინის კასრებში
1 ლ. – 1400 მან.

4. ლუდი SHUMENSKO
(ბულგარული) 0,5 ლ. ბოთლებში.
1 ბოთლი – 930 მან.

5. ბინა დიდუბეში 1,5+1,5 ოთახი გაერთიანებული, ტელეფონით, მეტრო წერეთელთან. საერთო ფართი — 120 მ²
მისამართი: ზუგდიდის ქ. №3, ბინა 66-67. ფასი 16000 დოლარი

6. ოროთახიანი ბინა გოგირდის აბანოებთან 35 მ² საკუთარი გათბობით და ყველა სათავსით. ფასი — 1500 დოლარი.
მისამართი: აბანოს შესახვევი №6.

მიმართეთ მისამართზე:
სასტუმრო „აჭარა", ოთახი 106,
ტელ: 98-53-59, 36-92-36.

ვყიდი ვერაზე
4 ოთახიან იზოლირებულ ბინას ძველ სახლში.
საცხოვრებელი ფართი – 57 მ²
(აბაზანა, საპირფარეშო, სათავსოებით)
მე-3 სართ. 3 სართულიან სახლში,
არაგვის ქ. №3
შესაძლოა გაცვლა ფულის დამატებით
ფასი შეთანხმებით
29-28-92 [illegible]

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციასთან არსებული სამეცნიერო საბჭოს წევრი

თენგიზ ვიორგის ძე ბებელია

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, პროფესორი

ფარნაოზ ლაპიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ სოხიაშვილი.